



# ეპროკრიდი

New  
ანალი

# საქართველო

სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი

№1 (33), იანვარი, 2014

გერონტოლოგია  
ახალი 2014 წელი!



ISSN 1987-8729



9 771987 872003

# DeLaval Bosio



**დელავალის მობილური  
საწველი აპარატები  
მსხვილფუნა და წვრილფუნა  
მერქეული  
მეცხოველეობისათვის**



**WORLD TECHNIC**  
მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge



ახალი აგრარული საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

იანვარი, 2014 წელი.

№1 (33)

სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი), ნუგზარ ებანოძე, მიხეილ სოსიაძე, თამარ სანიკიძე, ნოდარ ბრეგვაძე, გიორგი ბარისაშვილი (მეცნიერება-მედიცინის რედაქციის რედაქტორი), თამაზ გუგუშვილი (ხეივ. ვერს. რედაქტორი).

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიკოსები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რეკვან მახაროზიძე (თავმჯდომარე), ნოდარ ჩხარტიშვილი, გურამ ალექსიძე, ნუგზარ ებანოძე, პაატა კოლუაშვილი, ელგუჯა შაფაქიძე, პეტრე ნასყიდაშვილი, ზვიად ბრეგვაძე, ელგუჯა გუგუშვილი, ზაურ ჯგულუხიძე, ზურაბ ჯინჯიხაძე, ქრისტო კახნიანიშვილი, ადოლ ტყეშელაშვილი, ნატო კაკაბაძე, კუკური ძერია, კახა ლაშვი, ომარ თევდორაძე, ნუგზარ სარჯველაძე, დავით ბე-და, თენგიზ ყურაშვილი, ზურაბ ლოლაძე, კობა კობალაძე, ნუკრი მემარნიშვილი.

გამომცემელი:

„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“ (ასკა); Agraruli Sectoris

Companiebis asociacia (ASCA); (Association of Agrarian Sector Companies).

საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“; Regionica – Georgian Research Center for Regional Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53 ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00 599 16 -18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. № 51/53

E-mail: agroasca@gmail.com

www.regionica.org/journal.

editor of English version Tamta Gugushvili

დააკაბადონა გიორგი მაისურაძემ

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.

The journal acts in accordance with the principles of free press.

© საავტორო უფლება დაცულია.

All rights reserved.

რეფერირებადია 2011 წლიდან

დაბეჭდა შპს „გამომცემლობა კოლორში“



www.worldtechnic.ge

E-mail: info@worldtechnic.ge

ნოვარუი წაიკითხათ:

6

სასურსათო უსაფრთხოების დაცვა მთავრობის უპირველესი მოვალეობაა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ხორცის მოხმარება (საშუალოდ) მოსახლეობის კვების რაციონში, გამოხატული კალორიებში, 3-5%-ს არ აღემატება, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის კი - 1%-ს.



21

მოსაზრებები საქართველოს სოფლის მეურნეობის მომავალზე

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რომელიც გულისხმობს:

27

სილულის ღირსი

რა ნაყოფიც უნდა იყოს - ბალი, ალუბალი, მყოლი, მაყვალი, ბია, ვაშლი მსხალი, ქლიავი, შვინდი, ალურა და სხვა პირველად უნდა გაიჩვენოს...



4

საქართველოს მთავრობა პირველი თვეებშიდან მხირბეჭინან ფარმერთა საბაზაფულო საფუძვლების ხელშეწყობის ახალ პროექტს იწყებს

4

2013 წელი - საქართველოს სოფლის მეურნეობა სიფრავში

10

სასოფლო-სამეურნეო ქონებაზე - რას სთავაზობს სანაღმრო ფარმერებს?

11

აჭარაში სიმბრუსების რეალიზაცია გრძელდება

12

წლავს რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსება დაიწყება

13

განვილი 2012 ქართულ მედიცინაში

14

1911 წელი - გურული ჭაჭინის საოცარი მოგზაურობა რომში

15

მაყვლის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები

17

სოიოს გადამამუშავებელი ქარხანა

18

აქადემიკოსი ვალვა ქარხალიძე - გამოჩენილი ქართველი მცენარე და მემორიალი

20

მედიცინა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია

24

საკვები ელემენტების ბალანსი საქართველოს მიწათმოქმედებაში და მისი რეგულირების გზები

29

მუხრანის გრძელსროთიანი რუსი ფუტკრის ქართული თაფლი და სხვა პროდუქტები

შურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ გთავაზობს!

შურნალში ერთი კვადრატული სანტიმეტრი სარეკლამო ფართის ღირებულება შეადგენს: ყლი მორე გვერდზე - 60 თეთრს (მთლიანი გვერდი - 350 ლარი), გოლონინა გვერდზე - 50 თეთრს (მთლიანი გვერდი - 300 ლარი), გოლო გვერდზე - უკანა ყდაზე - 60 თეთრს (მთლიანი გვერდი - 350 ლარი). შიდა გვერდებზე - 35 თეთრს (მთლიანი გვერდი - 200 ლარი).

შურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ რეფერირებადია 2009 წლიდან. საბეჭდო სტატიის მოცულობა რეგიონის თანხლებით არ უნდა აღემატებოდეს 1,5 ინტერვალს, 12-იანი შრიფტით ნაბეჭდ 5 თაბახის გვერდს.

შურნალის გამომცემი შვიტლიბრის ბავრცელის საბეჭდოებში: „ელვაში“ (ტელ.: (032) 2-38-26-73; (032) 2-38-26-74); „საქარსა“ (577 97 90 10); „საქართველოს ფოსტა“ (577 117 272).

1 წლით შურნალის გამომცემი დაგიჯდებათ 24 ლარი, 6 თვით - 12 ლარი.



პროექტის გიუჯაბი 90 მილიონამდე ლარს შეადგანს. მას სახელმწიფო გიუჯაბი და ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დააფინანსებს, ხოლო ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტის მართვის სააგენტო განახორციელებს.

## საქართველოს მთავრობა პირველი თებერვლიდან მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ახალ პროექტს იწყებს

შარშან პროგრამის ბენეფიციართა სიების დასაზუსტებლად მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა.

2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით წლეულს 800000-მდე მცირემიწიანი ფერმერი ისარგებლებს.

„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ბენეფიციარები იქნებიან ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში აქვთ, სარგებლობენ ან ფაქტობრივად ფლობენ 1.25 ჰექტარის ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, სადაც ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურები მოჰყავთ.

ფერმერები, მიწის ფართობის მიხედვით, დაიყოფიან ორ კატეგორიად და სხვადასხვა ოდენობის სარგებელს მიიღებენ. ეს კატეგორიებია: 1) ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0,25 ჰა-მდე ფართობის მიწის ნაკვეთი; 2) ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0,25 ჰა დან 1,25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის მიწის ნაკვეთები.

„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო

სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ბენეფიციარები ისარგებლებენ ორი ტიპის ბარათით: 1) ნიადაგის ხვნის სამუშაოებისათვის დარიგდება სასოფლო-სამეურნეო ბარათი (ხვნის ბარათი, 2013 წლის პროექტით გათვალისწინებული ანალოგიური); 2) სასოფლო-სამეურნეო საქონლის მისაღებად, გასული წლისგან განსხვავებით, წელს ფერმერები ისარგებლებენ საბანკო პლასტიკური ბარათით, ე.წ. „აგრობარათით“.

აგრობარათი ფერმერს ურთიერთობას გაუმარტივებს სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიმწოდებელთან. მას შეეძლება სასურველი პროდუქტი ნაწილ-ნაწილ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მომწოდებლისგან მიიღოს.

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოებს, რომელიც ნიადაგის ხვნას და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურებას გულისხმობს, შპს „მექანიზატორი“ და 117 კონტრაქტორი შეასრულებს.

„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ 1 თებერვალს დაიწყება და აგვისტოში დასრულდება.

## 2013 წელი -

## საქართველოს სოფლის მეურნეობა ციფრებში

რა შექლო და რა შედეგი აჩვენა 2013 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობამ, რა გეგმები აქვს ახალი წლიდან, ამის თაობაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიაშვილმა წლის საბოლოო ანგარიშის პრეზენტაციაზე ილაპარაკა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკა დარგის მაქსიმალურად მცირე დროში განვითარებისკენაა

მიმართული. „ხელისუფლება სისტემურად ანხორციელებს ისეთი ტიპის ცვლილებებს, რომელმაც გლეხებსა და ფერმერებს, სოფლის მეურნეო-

ბის დარგში ჩართულ მენარმეებს მეტი სტიმული უნდა მისცეს. სოფლის მეურნეობის განვითარებამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა შეასრულოს. ყველა იმ პროექტით, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ანხორციელებს, ჩვენ შევძელით გლეხებისა და ფერმერე-

ბისთვის, მენარმეებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გაგვებადა ფინანსური რესურსი; ჩვენ ეტაპობრივად ვქმნით ისეთ საკანონმდებლო ბაზას, რომელიც ევროკავშირის კანონმდებლობასთან მაქსიმალურად დაახლოებს სოფლის მეურნეობის დარგის მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობას; ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ქვეყანაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაზრდასა და უსაფრთხოებაზე; ვმუშაობთ საექსპორტო ბაზრების გაზრდის მიმართულებით. ჩვენ უნდა შევძლოთ ქართული პროდუქტი ევროპის ბაზარზე გავიტანოთ. ყოველივე ზემოაღნიშნული ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემს სოფლის მეურნეობის დარგი გავხადოთ მიმზიდველი როგორც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის, ასევე უცხოელი ინვესტორებისთვის“, – განაცხადა შალვა ფიფია. 2013 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დასახული მიზნის მისაღწევად არაერთი უპრეცედენტო და მასშტაბური პროექტი განახორციელა. ესენია:

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“, რომლის ფარგლებშიც 710 385 ბენეფიციარმა 195 545 543 ლარის ღირებულების პირდაპირი დახმარება მიიღო სასოფლო-სამეურნეო ბარათების სახით; აქედან ნომინალური ბარათებით მცირემიწიანმა ფერმერებმა უსასყიდლოდ მიიღეს სასუქი, პესტიციდი, სათესლე მასალა, სასოფლო ინვენტარი, ვეტ. პრეპარატები, ხოლო კომბინირებული ბარათებით დამუშავდა 207,322 ჰა მიწის ფართობი.

„შელავათიანიაგროკრედიტის პროექტი“, რომლის ბიუჯეტი 29600000 ლარით განისაზღვრა და რომელიც დღეისათვის უკვე ექვს კომპონენტს მოიცავს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საერთო ჯამში, 8,052 ბენეფიციარზე გაცემულია 220082428 ლარის ოდენობის კრედიტი. მათ შორის დაფინანსდა 53 ახალი საწარმო. ამჟამად დამუშავების პროცესშია მე-7 კომპონენტი: შელავათიანი აგროკრედიტი თანმხვედრი გრანტით დაფინანსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის.

მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა სარწყავი და სადრენაჟე არხების რეაბილიტაციისთვის. ამჟამად საქართველოს მასშტაბით სარწყავი სისტემების პრაქტიკულად ყველა

დიდი მაგისტრალური არხი და გამანაწილებელი განმენდილია. საქართველოში წყალზრუნველყოფილი გახდა 74.3 ათასი ჰა სავარგული. სადრენაჟე სამუშაოები მიმდინარეობს 4635 ჰა ფართობზე. სარწყავი და დამშრობი სისტემების ექსპლუატაციის და რეაბილიტაციის შედეგად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება 40-50%-ით გაიზარდა.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით განეული სამუშაოების შედეგად 2013 წელს ღვინის ექსპორტმა 48 ქვეყანაში 44654359 ბოთლი შეადგინა, რაც 96%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აქედან რუსეთის ბაზარზე უკვე ექსპორტირებულია 21784510 ბოთლი ღვინო.

ევროკავშირთან თანამშრომლობით შემუშავდა და 2013 წელს და-

პროდუქციის რეალიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სააგენტომ მოსამზადებელი სამუშაოები და რეგიონებში შეხვედრები ფაქტობრივად დაასრულა და 2014 წლის იანვრიდან სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისთვის კოოპერატივების სტატუსის მინიჭების პროცედურებს დაიწყო.

წარმატებით ჩატარდა „როველი – 2013“. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა სუბსიდისა და შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა. სახელმწიფო სუბსიდია 1 კგ. რქანითელსა და კახურ მწვანეზე 40 თეთრს, ხოლო 1კგ. საფერავზე 25 თეთრს შეადგენდა. სახელმწიფომ საბანკო სექტორთან ერთად მეღვინეობა-მევენახეობის სექტორს ყურძნის შესასყიდად 15-თვიანი ვადით არაუმეტეს 6%-ისა ლარში შეღავათიანი სესხი შესთავაზა, რომლის ფარგლებში 48 ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოზე გაიცა 52370629 ლარის ოდენობის კრედიტი; მთლიანად კა-



ინყო ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD), რომელიც საქართველოში სურსათის წარმოების ზრდასა და სოფლად სიღარიბის შემცირებას ისახავს მიზნად. აღნიშნული პროექტით საქართველო მიიღებს 40 მილიონი ევროს გრანტს სოფლის მეურნეობის სექტორის განსავითარებლად.

შეიქმნა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას; მიწების გამსხვილება-კონსოლიდაციას; სასოფლო-სამეურნეო

ხეთის რეგიონის მოსახლეობამ ყურძნის რეალიზაციის შედეგად შემოსავლის სახით მიიღო დაახლოებით 100 მლნ ლარზე მეტი.

ციტრუსის სუბსიდირებისთვის ხელისუფლებამ წლეულს უპრეცედენტო ფინანსური რესურსი გამოყო. სახელმწიფომ 13800000 ლარი დახარჯა – 1კგ სტანდარტულ მანდარინში 15 თეთრი, ხოლო არასტანდარტულში – 10 თეთრი გადაიხადა. დღეს მანდარინის ჩამბარებელი 36 პავილიონი ფუნქციონირებს. ქობულეთის გადამამუშავებელმა ქარხანამ მარშანდელთან შედარებით მოსახლეობისგან 2-ჯერ მეტი არასტანდარტული მანდარინი მიიღო.

მომზადდა  
ნესტან მუშაშვილმა



# სასურსათო უსაფრთხოების დაცვა მთავრობის უპირველესი მოვალეობაა

„სიღარიბე სასურსათო უსაფრთხოების განუსრულებლობის ძირითადი მიზეზია“  
FAO-ს რომის დეკლარაციიდან. 1996 წელი.

სასურსათო უზრუნველყოფა (უსაფრთხოება) განაპოთხება ფუნდამენტურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემათა კაბაგორიას. სურსათს, რომორც სასიცოცხლო უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტს, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

დასაწყისი იხ. № 12, დეკემბერი, 2013 წ.

## II ნაწილი

მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის საქმეში ქვეყნის მოქალაქეთა სრულფასოვანი, დაბალანსებული სურსათით უზრუნველყოფა არანაკლებ მნიშვნელოვანია.

სრულფასოვანია სურსათი, თუ იგი ადამიანის ჯანმრთელობისათვის აუცილებელ ინგრედიენტებს საკმარისი რაოდენობით შეიცავს: ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს. ხელისუფლება ვალდებულია, მოსახლეობას ისეთი სოციალური პირობები შეუქმნას, რომ მან ჯანმრთელობისთვის აუცილებელი რაოდენობის დაბალანსებული საკვების შეძენა-მოხმარება შეძლოს. კერძოდ, ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად, საკვებ რაციონში დღეში პური 350 გრამს უნდა შეადგენდეს, ხორცი – 200, რძე და რძის ნაწარმი – 960, კარტოფილი – 170, ბოსტნეული – 370, ხილი – 210, თევზი – 50, ცხიმი – 30, შაქარი – 100 გრამს.

ეს ნორმები საერთაშორისო ნორმებს ემყარება და გათვალისწინებულია საშუალო ასაკის 70 კგ., მსუბუქი შრომით დაკავებული 31-50 წლის მამაკაცისათვის (იგივეა 60 კგ. წონის ქალისათვის) და დღეში 2800 კკალ შეადგენს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებული ნორმა 2450 კკალორია). ეს მონაცემები, მართალია, ასაკის, წონის, გეოგრა-

ფიული გარემოს და სხვა ფაქტორების გავლენით პერიოდულად იცვლება, თუმცა არა არსებითად.

დღეს საკვების მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმები ძალზე უხეშადაა დარღვეული. განსაკუთრებით დაბალია სასიცოცხლოდ აუცილებელი ცილოვანი საკვების მოხმარება (ხორცის მოხმარება შემცირებულია 2,5-3-ჯერ, თევზის – 4-5-ჯერ, რძის პროდუქტების – 2-3-ჯერ), ცილოვანი დეფიციტი კი საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, განსაკუთრებით ბავშვების, მოზარდებისა და ხანდაზმულებისთვის.

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევაგა გვიჩვენა, რომ ხორცის მოხმარება (საშუალოდ) მოსახლეობის კვების რაციონში, გამოხატული კალორიაში, 3-5%-ს არ აღემატება, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის კი – 1%-ს.**

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მხარეებიდან ხორცს ყველაზე მეტად მოიხმარს კახეთის (5%), ყველაზე ნაკლებად კი აჭარის მოსახლეობა 2% (კალორიების მიხედვით კვების რაციონში). საყურადღებოა ის, რომ ქალაქების მოსახლეობა მეტად განიცდის სურსათის (და მათ შორის ცილების) დეფიციტს, ვიდრე სოფლის მოსახლეობა, რაც იმით აიხსნება, რომ ქალაქის მოსახლეობა იძულებულია გასწიოს მეტი არასასურსათო ხარჯები (ტრანსპორტი, კომუნალური გადასახადები და ა.შ.), რაც ამცირებს სასურსათო ხარჯების განევის შესაძლებლობას. მეორეს მხრივ, სოფლად ფულის დეფიციტი ამცირებს არასასურსათო ხარ-

ჯებს. ქვეყანაში სასურსათო და არასასურსათო ხარჯების შეფარდებაა 70:30, რაც ძალზე დაბალი ცხოვრების დონის მაჩვენებელია (განვითარებულ ქვეყნებში ეს შეფარდება პირიქითაა და სასურსათო დანახარჯები მთელი ხარჯის 15-20%-ს შეადგენს).

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანა, რომელიც თვითონ იყო ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტიორი, ამ პროდუქციას 2-3-ჯერ ნაკლებს მოიხმარს, ვიდრე განვითარებული (იტალია, გერმანია და სხვა) და ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნები (რუსეთი, უკრაინა), რაც ჩვენი მოსახლეობის უკიდურესად დაბალი მსყიდველობითი უნარით უნდა აიხსნას.

საყურადღებოა პურისა და პურპროდუქტების (ბურღულეულის ჩათვლით) მოხმარების მაღალი მაჩვენებელი: მაგალითად, პურისა და პურპროდუქტების მოხმარება 1,8-2,0-ჯერ მეტია ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით, რის გამოც საკვები რაციონის ენერგეტიკული ღირებულების თითქმის 62%

პურპროდუქტებზე მოდის. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ხორცის, რძისა და რძის პროდუქტების, თევზის, ხილისა და ბოსტნეულის საპირისპიროდ, პურპროდუქტები ორგანიზმის არსებობისათვის აუცილებელი ინგრედიენტებით: ცილებით, ცხიმებით, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით ღარიბია.

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი მოსახლეობა დაბალი მსყიდველუნარიანობის გამო ძირითადად პურით იკვებება და დღიური რაციონის ენერგეტიკული ღირებულების კომპენსაციას პურით ახდენს (განვითარებულ ქვეყნებში პურის წილი საკვებ რაციონში 12-15%-ს არ აღემატება). ასეთი

დისბალანსი საკვებ რაციონში, ბუნებრივია, პათოლოგიურ ცვლილებებს, ჯანმრთელობის გაუარესებას და სავალალო შედეგებს იწვევს, რაც გამოიხატება კიდევ ბოლო წლების სტატისტიკაში (განსაკუთრებით თვალშისაცემია ბავშვთა სიკვდილიანობა, რითაც ჩვენ ევროპაში პირველ ადგილზე ვართ და, ზოგადად, ფატალური შედეგებით ავადობის უპრეცედენტო მატება).

საჭიროა აღინიშნოს, რომ 2009 წლის შემდეგ ჩვენ არ გვაქვს მწირი ინფორმაცია კი მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების მდგომარეობის შესახებ, რადგან 2010 წლიდან სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში გაუქმდა მასთან არსებული „სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორია“ და ფაქტობრივად არანაირი კვლევა და სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავება სასურსათო უსაფრთხოების თემატიკაზე არ მიმდინარეობს.

დინამიკაში თუ განვიხილავთ მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარებას 1991 წლიდან დღემდე, ეს მაჩვენებელი თანდათან მცირდებოდა და 1995 წელს ყველაზე დაბალი იყო, შემდგომში (1997-98 წწ.) მოკრძალებულად, მაგრამ მაინც დაინყო მატება 2003 წლის ჩათვლით, თუმცა მაინც მნიშვნელოვნად ნაკლები დარჩა ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით: ხორცზე 2,5-ჯერ, რძესა და რძის პროდუქტებზე – 1,7-ჯერ. აქაც პურის მოხმარება 2-ჯერ მეტი იყო ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით.

აღსანიშნავია ის, რომ მომდევნო 2004-2009 წლებში ადგილი ჰქონდა სასურსათო პროდუქციის მოხმარების არა თუ შემდგომ გაზრდას და მდგომარეობის რამდენადმე გამოსწორებას, არამედ მოხდა პირიქით და 2009 წლის მოხმარების მაჩვენებლები კიდევ უფრო დაშორდა ფიზიოლოგიურ ნორმებს, კერძოდ: ხორცი და ხორცპროდუქტები – თითქმის 2,5-ჯერ, რძე და რძის პროდუქტები – 2,7-ჯერ, ბოსტნეული – 2,5-ჯერ, კვარცხი – 2,7-ჯერ. რაც შეეხება პურის მოხმარებას, 2004 წლიდან 2009 წლის ჩათვლით ეს მაჩვენებელი სტატისტიკაში არ ჩანს; სავარაუდოა, რომ ის იმდენად მაღალია, რომ მისი გამოჩენა უხერხულობას გამოიწვევდა(!).

2010 წლის Global Hunger Index კვლევის თანახმად საქართველო იმ სახელმწიფოებს შორის აღმოჩნდა, სადაც შიმშილობის საშუალო დონეა. გაეროს მიერ დადგენილი ნორმით, ადამიანი შიმშილობს, თუ ის დღეში

1800 კკალორიაზე ნაკლებს იღებს. ამავე კვლევის შედეგებით საქართველო ჩამორჩება მეზობელ ქვეყნებს: სომხეთს და აზერბაიჯანს (2008 წ.).

მოსახლეობის 50% გაეროს მიერ განსაზღვრულ მინიმუმზე – 2150 კკალორიაზე ნაკლებს იღებს, ხოლო 22% კი კრიტიკულზე – (1800 კკალორიაზე) ნაკლებს – 1600 კკალორიას. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ თვით რაციონის ხარისხობრივ შემადგენლობას და იმ ფაქტს, რომ ამ კალორიების ნახევარზე მეტი პურზე მოდის, მოსახლეობის მდგომარეობა კომენტარს აღარ საჭიროებს.

Low-Income Food-Deficit Countries-ის 2012 წელს გამოქვეყნებული დასკვნის თანახმად, საქართველო დაემატა იმ 66 ქვეყნის ჩამონათვალს, სადაც სურსათის დეფიციტია, ხოლო შემოსავლები – ძალზე მცირე.

გაეროს მსოფლიოს მოსახლეობის ორგანიზაციის მონაცემებით (2011 წ.) საქართველოს მოსახლეობის 13%-ს (ანუ 600 ათასი ადამიანი) დღეში შეუძლია დახარჯოს მხოლოდ 1,25 დოლარი, ანუ 2 ლარი. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში: სომ-

**FAO-ს მონაცემებით, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელი კრიტიკულ ზღვარზე ძველდება და ყოველწლიურად ძველდება. აღნიშნულს ის ფაქტიც აღასტურებს, რომ სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლით საქართველომ განვითარებადი ქვეყნების მი-5 ჯგუფიდან მი-6 ჯგუფში გადაინაცვლა და უღარიბესი ქვეყნების (სუდანი, კამერუნი, ნიგერია და სხვ.) რიცხვშია.**

ხეთში ასეთი მოსახლეობის რიცხვი 4%-ია, აზერბაიჯანში, რუსეთში, ყაზახეთში, მოლდოვაში – 2%.

ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ საქმე გვაქვს სასურსათო გენოციდთან, რასაც ნებსით თუ უნებლიედ ანხორციელებდა ყოფილი ხელისუფლება საკუთარი ხალხის მიმართ.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ჯერ კიდევ 2003 წელს NATO-ს სოფლის მეურნეობის დაგეგმვის კომიტეტმა (FAPC) საქართველოს მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების მაჩვენებლები საგანგაშოდ ჩათვალა და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მდგომარეობა საგანგაშოდ შეაფასა, მიუთითა შესაბამის სასწრაფო ღონისძიებებზე მდგომარეობის გამოსწორებად. მაშინდელმა ხელისუფლებამაც არ დააყოვნა და NATO-ს მიერ საგანგაშოდ შეფასებული სურსათის მოხმარების მაჩვენებლები იმავე 2003 წლის 8 მაისის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძა-

ნებით №111-ნ დაამტკიცა „ნორმად“ (სადაც სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ). ამ ბრძანების თანახმად, ხორცის მოხმარების მაჩვენებელი 80 გრ/დღ ჩათვალა „ნორმად“, რომელიც 2,5-ჯერ ჩამორჩება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმას (200 გრ/დღ), რძისა და რძის პროდუქტების ნორმა შემცირდა 4,5-ჯერ (!) 960 გრამიდან 215 გრამამდე, ბოსტნეულის განახევრდა 370 გრამიდან 182 გრამამდე, შაქარი შემცირდა 100 გრამიდან 55 გრამამდე, ხოლო პურის მოხმარების ნორმა 350 გრამიდან გაზრდილია 400 გრამამდე დღეში (!).

ამრიგად, ფიზიოლოგიურ ნორმად ჩათვალა მინიმალური საკვების ის რაოდენობა, რის მიღებასაც მოსახლეობა ახერხებდა და მოხმარების მაჩვენებელიც ახალ „ნორმებს“ დაუახლოვდა, ზოგიერთი პროდუქტისთვის გადააჭარბა კიდევ (რძე და რძის ნაწარმი). ასე მარტივად „მოგვარდა“ სასურსათო უსაფრთხოების დარღვევის საგანგაშო მდგომარეობა, ბიუჯეტიდან ხარჯების განვიც და სათანადო ღონისძიებების გატარების გარეშე და ა.ე. „ნორმების“ მიხედვით ჩვენი მო-

სახლეობის მიერ სურსათის მოხმარების ვიზუალური სურათი „არც თუ ისე სავალალოდ“ გამოჩნდა (!).

ასევე საინტერესოა 2011 წლის ივნისში აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ ([www.choosemyplate.gov](http://www.choosemyplate.gov)) გამოქვეყნებული სურსათის რეკომენდებული

ნორმები. მათთან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის განსაზღვრული „ახალი ნორმების“ შედარებით აღმოჩნდა, რომ საქართველოს ზრდასრული, შრომისუნარიანი მამაკაცისთვის (31-50 წ.) განსაზღვრული ნორმა ბევრად ჩამორჩება არა მარტო იგივე კატეგორიის აშშ-ის მოქალაქისთვის რეკომენდებულ ნორმას (კერძოდ, ხორცზე – 2,3-ჯერ, რძესა და რძის პროდუქტებზე – 3,2-ჯერ, ბოსტნე-





სპეციალური შესწავლის შედეგად დავადგინეთ, რომ საქართველოში საარსებოდ მიღებული მინიმალური ნორმის შესაბამისი სასურსათო კალათის რეალური ღირებულება 148 ლარია, რომელიც 31,52 პროცენტით აღემატება ოფიციალურად მიღებულ – 101,36 ლარს (ეს უკანასკნელი ემყარება ხელოვნურად შემცირებულ მოთხოვნილებებს).

საარსებო მინიმუმის გაანგარიშება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ხორციელდება ე.წ. ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე – მიჩნეულია, რომ სურსათის წილი ამ მაჩვენებელში უნდა შეადგენდეს 70 პროცენტს (რაც არასწორია, რადგან ადამიანს, როგორც გონიერ არსებას სხვა მოთხოვნილებებიც გააჩნია. განვითარებული მსოფლიოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულია, რომ ეს მაჩვენებელი საარსებო მინიმუმში 15-30%-ის ფარგლებში უნდა მერყეობდეს), დანარჩენი 30 პროცენტით კი უნდა დაიფაროს ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის არასასურსათო საქონლისა და მომსახურების ღირებულება. ეს ნიშნავს იმას, რომ რეალური საარსებო მინიმუმის ღირებულება – 211,42 (148+63,42) ლარი, 1,46-ჯერ მეტი იქნება დადგენილ – 144,8 (101,36+43,44) ლარზე თვეში. სასურსათო და სამომხმარებლო ხარჯების გათანაბრების (0.5/0.5) შემთხვევაში (რაც სწორი და სავსებით მისაღები გადაწყვეტილება იქნება) საარსებო მინიმუმის ღირებულება 296 (148+148) ლარს გაუტოლდება (ცნობისათვის, ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანში 328 ლარია, სომხეთში – 230 ლარი, რუსეთში – 390 ლარი, ესტონეთში – 520 ევრო, სლოვენიაში – 830 ევრო, აშშ-ში – 902,5 დოლარი, ნორვეგიაში – 2100 ევრო).

2006 წლის შემდეგ საარსებო მინიმუმის ამჟამად მოქმედ მეთოდოლოგიაზე გადასვლისას მყისიერად, 30 პროცენტით შემცირდა მისი ღირებულება (დაბალანსებული კვების რაციონის ნაცვლად ნორმატიულ ბაზაში შეტანილ იქნა შედარებით ნაკლებად დაბალანსებული კვების პროდუქტები, აგრეთვე მაქსიმალურად შეიზღუდა ცხოველური წარმომავლობის კვების პროდუქტების წილი).<sup>1</sup>

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საარსებო მინიმუმში სურსათისა და

დანარჩენი საქონლის თანაფარდობა პროპორციით 0.7/0.3. ეს პროპორცია სასწრაფოდაა შესაცვლელი – მკვეთრად უნდა შემცირდეს სასურსათო კომპონენტის წილი და გაიზარდოს არასასურსათო კომპონენტის წილი (ეს იმ დროს, როდესაც ინფლაციის გასაანგარიშებელ კალათაში სურსათის წილი წლიდან წლამდე მცირდება და ამჟამად 30 პროცენტს არ აღემატება). ამ შემთხვევაში, თვით ამჟამად მოქმედი მინიმალური სასურსათო ნორმისა და სადღეღამისო კალორიულობის შენარჩუნების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაიზარდება საარსებო მინიმუმის ღირებულება (101,36 + 101,36 = 202,72 ლარი).

აღნიშნული ცვლილებით საარსებო მინიმუმის ღირებულება საგრძნობლად მიუახლოვდება მის ფაქტობრივ დონეს, რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება აგრეთვე ამჟამად კატასტროფულად დაშორებული „საარსებო მინიმუმისა“ და „სიღარიბის“ ცნებათა შინაარსობრივი დაახლოებისაკენ.

დასკვნის მაგიერ: ჩვენ იმპორტის საშუალებით შემოგვაქვს სურსათის 70%-ზე მეტი, რის გამოც ქვეყნის საგადასახადო ბალანსი მკვეთრად უარყოფითია. თუ ქვეყანას სურს ჰქონდეს განონასწორებელი სავაჭრო ბალანსი, რამდენადაც შესაძლებელია უნდა მოვახდინოთ ადგილობრივი წარმოების სურსათით იმპორტის ჩანაცვლება, ხოლო გამოთავისუფლებული ვალუტა ეროვნული აგროწარმოების განვითარებას მოვახმაროთ. ამ სტრატეგიული მიზნის რეალიზაციისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიცნობიეროთ, რომ სასურსათო უზრუნველყოფის მიღწევა, ესაა ქვეყნის ეროვნული უშიშროების განმტკიცების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და იგი უნდა დარჩეს ქვეყნის განვითარების მთავარ ორიენტირად, როგორც ახლო, ისე შორეულ პერსპექტივაში.

საქართველოს მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის ინტერესები და მრავალდარგოვან აგრორულ სექტორში შექმნილი კრიზისის დაძლევის აუცილებლობა გადაუდებლად მოითხოვს:

- სოფლის მეურნეობის დაქუცმაცებული საწარმოო ბაზის გამსხვილება-გამასივებას (სასოფლო-სამეურნეო მიწის კონსოლიდაცია);

- მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებას და მათ ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებთან ვერტიკალურ ინტეგრაციას (წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლი);

ულზე – 3,2-ჯერ, ხილზე – 2,3-ჯერ, რაც, ბუნებრივია, გაკვირვებას არ იწვევს, რადგან 2003 წლამდე ჩვენთან არსებულ ნორმებთან შედარებითაც იგივე სურათია), არამედ ნაკლებია 3,5-4 წლის ბავშვის ნორმაზეც კი!

როგორც აღნიშნული ბრძანების სათაურიდან („საკვებ ნივთიერებათა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“) ირკვევა, აღნიშნული ღონისძიების გატარება ძირითადად ე.წ. „სასურსათო კალათის“ ღირებულების შემცირების მიზნით მოხდა, რათა შემცირებულიყო ე.წ. „საარსებო მინიმუმის“ ღირებულება, როგორც დაახლოებოდა მოსახლეობისთვის გაცემულ პენსიებსა თუ სხვა შემწეობებს, ან როგორც შემცირებულიყო ის უზარმაზარი განსხვავება, რაც პენსიებს, შემწეობებსა და არსებობისათვის საჭირო თანხას შორის არსებობდა. ამ მიზნით სასურსათო კალათაში მნიშვნელოვნად შემცირდა ძვირადღირებული პროდუქციის ჩამონათვალი და გაიზარდა შედარებით იაფი პროდუქციის რიცხვი.

სამწუხაროდ, ამ დანაშაულებრივი ღონისძიების გადახედვით და გამოსწორებით დღემდე არცერთი მთავრობა არ დაინტერესებულა და სასურსათო კალათას და მისგან გამომდინარე საარსებო მინიმუმს ამ ნორმებით ანგარიშობენ.

ეს „ახალი სასურსათო კალათა“ დღეისათვის (2013 წლის ივლისი) 101,36 ლარის ღირებულების საარსებო მინიმუმს იძლევა, რაც მაინც მიუწვდომელია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის.

1. აღსანიშნავია, რომ საარსებო მინიმუმის ახლანდელ კალათაში სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ-ის დონეზე, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებული ნორმაზე (2450 კკალ) საგრძნობლად ნაკლებია.

● ეფექტური საგადასახადო, სა-დაზღვევო, საბაჟო, საფინანსო, საინ-ვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას;

● სპეციალიზებული ურთიერთ-დახმარების, კოოპერაციული აგროკ-რედიტის სისტემის შექმნას;

● ერთი ან რამდენიმე მარეგულირე-ბელი სამსახურის შექმნას – ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში;<sup>1</sup>

● სოფლის მეურნეობის ისეთი და-რგობრივი სტრუქტურის ჩამოყა-ლიბებას, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირების-თვის საჭირო პროდუქტების წარ-მოებას, ასევე თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენ-ციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშე-წონილობის განსაზღვრას.

ამასთან, აგრომეურნეებს უნდა მო-ეხსნათ ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია: მატერიალურ-ტე-ქნიკური საშუალებებით მომარაგე-ბის, მელიორაციული, სასოფლო-სა-მეურნეო ტექნიკისა და ზოოვეტმო-მსახურების, ბაზარზე ფასების ტენ-დენციების განსაზღვრის, კრედიტის ხელმისაწვდომობის, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისა და ეროვნული ბაზრის დაცვის საკითხე-ბის გადანყვეტასთან.<sup>2</sup>

სოფლად შემოსავლების ზრდისა და ქალაქთან გათანაბრებული ცხოვ-რების პირობების შესაქმნელად, სა-ქართველოს მთავრობამ, მსგავსად დემოკრატიული ქვეყნების მთავრო-ბებისა, რამდენიმე დებულებით უნდა იხელმძღვანელოს:

● სოფლის, როგორც ტერიტო-რიული და სოციალური ერთეულის (სოფლის სტატუსი, რეალური თვით-მმართველობა, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყო-ბა) განვითარება, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა ეროვნული იდენტურობისა და მოსახ-ლეობის შენარჩუნებას უწყობს ხელს;

● გარემოს დაცვა/შენარჩუნება და მასთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარება სოფლად დასაქმებისა და შემოსავლის ზრდის პოტენციალს შეიცავს;

● ინფორმაციის (მ.შ. ტელეკომუნი-კაციის) გავრცელებისა და განათლე-ბის მიღების ხელმისაწვდომობა სოფ-ლის ქალაქთან გათანაბრების აუცი-ლებელი პირობაა;

● სოფლად პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავე-ბის გაზრდა და ინოვაციუ-რი ტექნოლოგიების ათვის-ება სამუშაო ადგილების ზრდას უზრუნველყოფს.

ჩამოთვლილი დებულე-ბები სრულად პასუხობენ „ლისაბონის სტრატეგიის-სა“ და „ევროპა-2020-ს“ 5 მოთხოვნას ეკონომიკური „ზრდისა და მეტი, უკეთე-სი სამუშაო ადგილის შექმ-ნის შესახებ“.

საქართველოს გარდაქ-მნა მაღალგანვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად (შემდეგ ეტაპზე ინდუსტრიულ ქვეყ-ნად, ზეგანვითარებული სოფლის მე-ურნეობით), რომელიც თვითონ და-იკმაყოფილებს თავის სასურსათო და სხვა საარსებო მოთხოვნილებებს,

ექნება დადებითი სალდო პარტნიორ ქვეყნებთან ვაჭრობაში და ექსპორ-ტის საგნად – მეცნიერებატევადი სამრეწველო, მეცნიერული და მაღა-ლი ხარისხის ნატურალური სოფლის მეურნეობის პროდუქცია, არის ის სა-სურველი მიმართულება, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საქართვე-ლოს სასურსათო და ზოგადად ეკონო-მიკური უშიშროება ანუ შეუნარჩუნოს მას გარანტირებული ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა გარე ძაღე-ბის ნებისაგან დამოუკიდებლად.

ეს ამოცანა თავისთავად, რა თქმა უნდა, არ შესრულდება. ამ მიზნით საჭიროა აგროსასურსათო სექტო-რის განვითარების მიზანმიმართული სტრატეგიისა და მის საფუძველზე



რაციონალური სასოფლო-სამეურ-ნეო პოლიტიკის შემუშავება, რომე-ლიც ორიენტირებული იქნება ზემო-აღნიშნული მთავარი ამოცანის შეს-რულებაზე.

**პაატა კოღუაშვილი,**  
საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიის წევრი  
**შოთა ჩხიკი,**  
ტექნიკის მეცნიერების დოქტორი

1. იხილეთ პ. კოღუაშვილისა და თ. კუნჭულიას ნაშრომი „სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი აგროსასურსათო სექტორში,“ სსმმა-ის „მოამბე“, ტ. 29, 2011.  
2. იხილეთ პ. კოღუაშვილის შრომა „რა ემართება და რა ჰმართება ქართულ სოფელს“, სემა-ის შრომათა კრებული №11, 2013.

RESUME

FOOD SAFETY, THE PRIMARY DUTY OF THE GOVERNMENT

P. KOGUASHVILI, GTU Full Professor  
SH. CHKEIDZE, doctor

In the article it's been discussed the problem having the greatest importance in Georgia — the protection of popula- tion's food safety. In order to ensure the food safety it is considered that the share of local production of food resources must consist of 80 to 85 percent (minimal cut-off is 60 per cent). The researches made by the authors' show that the abo- ve-mentioned indicator is much lower. The fact needs to be considered and arranged by the government.

In the article there are given the recommendations and suggestions about enhancement of food and minimum living age level. It is proved what should be considered as food security and what kind of threats will be cause by the failure of these problems. The article outlines that the government must consider this matter as its primary duty.

The fact of budgeting the country's most important field — agriculture with very small amounts (approximately 0.4% to 1.5%) and the level of foreign direct investment in this field shows how the former government was ignoring the agricul- ture. In the end of the article the authors offer recommendations of improving the existing situation in this field.

# სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები - რას სთავაზობს სახელმწიფო ფერმერებს?

**„ყველა უნდა გააცნობიეროს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი არის გამრჯევი გლეხთა გაერთიანება“.**

პარლამენტმა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონი 2012 წლის ივლისში მიიღო. კანონის მიღებისთანავე გლეხები გაერთიანებისკენ მონოდებას ერთგვარი სკეპტიციზმით შეხვდნენ, რადგან ხშირად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ძველ კოლმეურნეობებთან ასოცირდება.

დღეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მესვეურებს განმარტებების გაკეთება უწევთ იმაზე, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი კოლმეურნეობის ანალოგი არ არის. უპირველეს ყოვლისა სასოფლო კოოპერაცია ეფუძნება ორ ძირითად პრინციპს: ნებაყოფლობითობა (კოოპერატივში განევრიანება ნებაყოფლობითია) და დემოკრატიული მმართველობა (იმის მიუხედავად რა რაოდენობის პაით შევა წევრი კოოპერატივში, ის გადანაწილების მიღებაში მონაწილეობს პრინციპით-ერთი წევრი-ერთი ხმა), რომლებიც საბჭოთა კოლმეურნეობების პირობებში უგულვებელყოფილი იყო.

როგორც სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე აცხადებს, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია საზოგადოების სწორად ინფორმირება, რათა არ გაჩნდეს არასწორი წარმოდგენა და მოლოდინი. „ყველა უნდა გააცნობიეროს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი არის გამრჯევი გლეხთა გაერთიანება“.

თავის მხრივ სახელმწიფო წაახალისებს და განახორციელებს ხელშემწყობ პროგრამებს. იგეგმება მოტობლოკებითა და ხელის სათესით უზრუნველყოფის პროექტის “განხორციელება, რომელიც კოოპერატივებისთვის 1700 ერთეული მოტობლოკისა და 2000 ხელის სათესის შეღავათიანი პირობებით ან ლიზინგით გადაცემას ითვალისწინებს. ასევე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი სარგებლობს უპირატესობით მიიღოს გრანტი, განსაზღვრულია უფასო სწავლება-გადამზადება და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები.

სიახლის მიმართ რეგიონებში ინტერესი საკმაოდ დიდია. სააგენტოს თავმჯდომარემ ინფორმაციული კამპანიის ფარგლებში შეხვედრები საქართველოს ყველა რეგიონში მუნიციპალიტეტების დონეზე გამართა. ახლა მიმდინარეობს კამპანიის მეორე ეტაპი, რომელიც უშუალოდ მოსახლეობასთან კომუნიკაციას გულისხმობს. შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს. ყველაზე აქტიური თემები, რომლებიც გამოიკვეთა, შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვების ტექნიკურ საკითხებს. როგორც ცნობილია, “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონით” განსაზღვრული შეღავათებით სარგებლობენ ის კოოპერატივები, რომლებსაც აქვთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი, რასაც სააგენტო ანიჭებს. სტატუსის მინიჭების პროცესის დაწყება მომავალი წლიდან იგეგმება.

რაც შეეხება გაერთიანების შედეგად მიღებულ სარგებელსა და შეღავათებს, გაერთიანების შემთხვევაში გლეხს დანახარჯები უმცირდება, შემოსავალი კი ეზრდება. კონკრეტულად, თუ გლეხს ერთი ჰექტრის დამუშავება საშუალოდ 900-1000 ლარი უჯდება პირობითად, ანალოგიურ საქმიანობაზე

ხარჯი მინიმუმ 5-10 პროცენტით უმცირდება, რადგან დანახარჯები რამდენიმე სუბიექტზე ნაწილდება. გარდა ამისა კოოპერატივი ექცევა საბითუმო კლიენტის კატეგორიაში, რაც დამატებით ეკონომიას აძლევს. ამ ყველაფერს ემატება საგადასახადო შეღავათები-კოოპერატივის ქონება, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის, ქონების გადასახადით არ იბეგრება. ასევე გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი და გრანტი.

ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხად რჩება გლეხებისთვის მონეული პროდუქციის რეალიზაცია, რაშიც სააგენტო გლეხებს ასევე დახმარებას ჰპირდება. სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქცია სტატუსის მინიჭებასთან ერთად კოოპერატივების მონიტორინგიცაა, რაც კონტროლს არ ნიშნავს, როგორც ამას ზოგჯერ აღიქვამენ. როგორც სააგენტოს თავმჯდომარე განმარტავს, მონიტორინგის სამსახურის მთავარი ფუნქცია საინფორმაციო ბაზის შექმნაა, რომელ კოოპერატივს რა სახის ან რა რაოდენობის პესტიციდები ან შხამქიმიკატები სჭირდება, როგორი მოსავალი მიიღო და ა.შ. მას შემდეგ, რაც სააგენტოს ექნება სრული სურათი მონეული პროდუქციის რაოდენობისა და სტანდარტების შესახებ, კოოპერატივებს პოტენციური კლიენტების მოძიებაში დაეხმარება როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ბაზრებზე. ეს პროცესი გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სტანდარტების ჩამოყალიბებას.

**P.S. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა.**

კოოპერაცია ყველა განვითარებულ ქვეყანაში ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა. მაგალითად გერმანიას კოოპერაციის 150-წლიანი ისტორია აქვს, საუკუნეზე მეტს ითვლის კოოპერატივები იაპონიაში. ასე რომ, ჩვენთვის კარგად ნაცნობი უცხოური წარმოების, კარგად შეფუთული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელიც სუპერმარკეტების დახლებზე ხშირად გვხვდება, სწორედ “გამრჯევი გლეხთა გაერთიანების” შედეგია.





## აჭარაში სიბრუსების რეალიზაცია ბრკელდება

**აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე წელს ციტრუსის მოსავალი საპროგნოზო მონაცემებით 110 000 ტონას შეადგინდა, თუმცა მიღებული მოსავალი 120000 ტონას აჭარბებს.**

უხვი მოსავლის მოლოდინიდან გამომდინარე, სამინისტროს ხელმძღვანელობის ინიციატივით ციტრუსის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, კერძოდ აჭარის მთავრობის გადამწყვეტილებით ციტრუსის დახარისხება-შეფუთვითა და რეალიზაციით დაინტერესებულ პირებს 30-მდე ყოფილი ციტრუსის შემფუთავ-დამხარისხებელი საწარმო სიმბოლურ ფასად გადაეცათ, რომლებსაც სეზონის დასაწყისისათვის ჩაუტარდათ რეკონსტრუქცია, აღიჭურვნენ დამხარისხებელი ხაზებითა და დამხმარე (ავტომტვირთავი, ელექტრო სასწორი, პნევმატური ურიკა თითოეული არანაკლებ 2 ტონამდე ტვირთამწეობით, პალეტებით და პალეტზე დანყობილი ყუთების შემკვრელი) მოწყობილობებით, ასევე რამოდენიმე მათგანი შესაფუთი მასალის ამწეობი ხაზებით. მათ შორის უახლესი ტექნოლოგიით აღიჭურვა და მწყობრში ჩადგა შპს „TCF GEORGIA“, რომელიც დღიურად ევროსტანდარტების დონეზე ასაქონლებს 300 ტონა მანდარინს და აწარმოებს 15000 ცალ (პლასტმასის, ხის ანათალისა და მუყაოს გოფრო) ტარას. საწარმოში დასაქმებულია 240 მდე მუშა-მოსამსახურე.

ციტრუსის სეზონისათვის მოსამზადებელი სამუშაოების პარალელურად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელები საბაჟო ტარიფების ოპტიმიზაციის მიზნით ვიზიტით იმყოფებოდნენ უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსის რესპუბლიკებში. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით რუსეთის ფედერაციიდან ქართული ციტრუსის ექსპორტირების მიზნით მონვეულნი იქნენ სასოფლო-სამეურნეო ზედამხედველობისა და ფიტოსანიტარული სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ ადგილებზე აწარმოებდნენ ექსპორტზე სარეალიზაციო ციტრუსის დახედვასა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებას.

მეციტრუსე ფერმერთა მიერ ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობის გადამწყვეტილებით ყოველ კილოგრამ ექსპორტზე რეალიზებულ სტანდარტულ მანდარინზე 0,15 ლარით სუბსიდირებისათვის გამოყოფილი იქნა 12 მილიონი ლარი. ამასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციის შედგენისა და პრაქ-

ტიკული რეალიზაციისათვის სამინისტროს მიერ ტარდება სპეციალისტების სისტემატური შეხვედრები ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობასთან. არასტანდარტული მანდარინის ნაყოფის ქარხნული გადამუშავებისათვის სრული დატვირთვით მუშაობს შპს „აქტივების მართვის ქართულ-უკრაინული ჯგუფის“ ქობულეთის საკონსერვო ქარხანა, რომელიც 1კგ არასტანდარტული მანდარინის ნაყოფში ჩამბარებელს უხდის 0,1 ლარს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები მუნიციპალური ბიუჯეტიდან დამატებით



აფინანსებენ 0,1 ლარით. დღეის მდგომარეობით ქარხანაში გადამუშავებულია 6000 ტონაზე მეტი და სეზონის ბოლომდე გადამუშავებს 18000 ტონა არასტანდარტულ ნაყოფს.

რეგიონში დეკემბრის მეორე ნახევრის მდგომარეობით ექსპორტზე რეალიზებულია 45000 ტონაზე მეტი ციტრუსი მაშინ, როცა გასული წლის შესაბამის პერიოდში რეალიზებული იყო 22000 ტონა. 2006 წლიდან დღემდე პირველად განხორციელდა რუსეთის ფედერაციაში ციტრუსის ექსპორტირება როგორც სახმელეთო (ლარსიდან), ასევე საზღვაო (ნოვოროსიისკი) ტრანსპორტით. სულ რუსეთის ბაზარზე რეალიზებულია 13000 ტონაზე მეტი ციტრუსის ნაყოფი. ქართული მანდარინი რუსულ ბაზარზე თანდათანობით იბრუნებს დათმობილ პოზიციებს. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს ციტრუსის რეალიზაცია და, საეგარაუდოდ, საქსპორტო გადაზიდვები 2014 წლის თებერვლის ბოლომდე გაგრძელდება.

**ლევან პოლძეაძე,**

*სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი*

# წლეულს რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადაამუშავებელი საწარმოების დაფინანსება დაიწყება

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით სოფლის მეურნეობის პროდუქტების მართვის სააგენტო ახალ პროექტს იწყებს „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადაამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“, რომლის მიზანია დახალი ეკონომიკური აქტივობის რაიონებში ახალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადაამუშავებელი საწარმოების შექმნა ან ძველი უმუშაო საწარმოების რეაბილიტაცია. იგი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება.**

პროექტის პრეზენტაციაზე სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფია და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორმა გიორგი ჩხეიძემ „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ მიზნებზე და მოსალოდნელ შედეგებზე ისაუბრეს.

„ხელისუფლება სისტემურად ახორციელებს ისეთი ტიპის ცვლილებებს, რომელმაც გლეხებსა და ფერმერებს, სოფლის მეურნეობის დარგში ჩართულ მენარმეებს მეტი სტიმული უნდა მისცეს. სოფლის მეურნეობის განვითარებამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაში ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა შეასრულოს. 2013 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დასახული მიზნის მისაღწევად არაერთი უპრეცედენტო და მასშტაბური პროექტი განახორციელა. „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ საშუალებით ჩვენ შევძელით გლეხების, ფერმერებისა და მენარმეებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გაგვეხადა ფინანსური რესურსი. ახალი „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტიც“ ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო საქ-

მიანობის გააქტიურებას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. იმედი გვაქვს, რომ ეს ახალი პროექტიც წარმატებული იქნება. პროექტის ხელშეწყობით ახალი საწარმოები შეიქმნება, რაც ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის ზრდას განაპირობებს“, – განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ.

ლონისძიებს ესწრებოდნენ „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტში“ ჩართული საფინანსო ინსტიტუტების, საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების, ასოციაციების და კომპანიების წარმომადგენლები.

როგორც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორმა გიორგი ჩხეიძემ პრეზენტაციაზე აღნიშნა „პროექტის ფარგლებში ფინანსურ დახმარებას მიიღებენ კომპანიები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომლებიც დაინტერესებული არიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამამუშავებელი საწარმოების ამოქმედებით. ფინანსური დახმარება ითვალისწინებს შეღავათიან გრძელვადიან საბანკო კრედიტს ან ლიზინგს და თანადაფინანსებას“.

პროექტში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნ-

და მიმართოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ბიზნესინადადებით, რომელსაც სააგენტო განიხილავს დადგენილი კრიტერიუმებისა და პროექტის მიზნების გათვალისწინებით. შერჩეული წინადადებებით საკონსულტაციო კომპანიები და პოტენციური ბენეფიციარები მოამზადებენ ბიზნესგეგმას „საგრანტო კომიტეტთან“ წარსადგენად და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მენარმე მიიღებს ფინანსურ დახმარებას.

დაფინანსებული პროექტის მთლიანი მოცულობა 200 000-დან 1 000 000 აშშ დოლარამდე განისაზღვრა. ბენეფიციარის ფულადი თანამონაწილეობა პროექტის ღირებულების მინიმუმ 10 %-ს უნდა შეადგენდეს, ხოლო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა – 40%-ს. დანარჩენ 50%-ს ბენეფიციარი საფინანსო ინსტიტუტებისგან მიიღებს.

დამტკიცებული სესხით მენარმეს მანქანა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, შენობა-ნაგებობების შექმნა, სარემონტო სამუშაოების წარმოება და საწარმოო ფართის მშენებლობა შეეძლება.

პროექტის ფარგლებში დადგენილია აგროკრედიტის/ლიზინგის პირობები. ლიზინგი მოიცავს პროექტის ღირებულების მაქსიმუმ 50%-ს, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ, წლიური საპროცენტო ხარჯის თანადაფინანსება კი შეადგენს 12%-ს.

პროექტის ფარგლებში ვერ დაფინანსდება: მეღვინეობა, სპირტისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება, ხორბლის ფქვილის წარმოება.

პროექტის მიხედვით მენარმისთვის საბანკო სესხის გადახდის გამარტივების და საწარმოსათვის ხარჯების შემცირების მიზნით პროექტით დადგენილია მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი, რომლის ძირითად ნაწილს სააგენტო იხდის.

● სააგენტოს მიერ სესხის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსება – 12%. იქნება, ხოლო კრედიტის მაქსიმალური ვადა – 120 თვე.



# განვლილი 2013წ. ქართულ მეღვინეობაში



**მოდით, ჯერ ერთად გადავავლოთ თვალი ჩავლილ 2013 წელს, ქართული მეღვინეობა-მეღვინეობის სფეროში მოხდარ მატ-ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებს.**

● თავშივე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს ქართულ მეღვინეობა-მეღვინეობაში „წლის მოვლენა“ უდავოდაა ის სასიამოვნო ფაქტი, რომ ქვევრში ღვინის დაყენების უძველეს ქართულ მეთოდს იუნესკომ (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ეს ფაქტი ნამდვილად ისტორიული მოვლენაა, რაც, ცხადია, გამოიღებს კიდევ თავის ნაყოფს და შინამრეწველობის ისეთ უნიკალურ დარგს, როგორც მექვევრეობა, სახელმწიფო ამიერიდან მაინც მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში ჯერჯერობით მექვევრეობა ძალიან ცუდ დღეშია. ამ სფეროს ყურადღების მიქცევა ესაჭიროება, რაც უმთავრესად მთავრობის რეგიონულმა წარმომადგენლებმა – სოფლის გამგებლებმა უნდა ითავონ, სადაც ასე თუ ისე ჯერ კიდევ შემორჩენილია მექვევრეობა. დარგის აღორძინება დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არ არის დაკავშირებული, რაც ასევე მეტად მნიშვნელოვანია. ამ საკითხსა თუ პრობლემას, უბრალოდ, გულთან ახლოს მიტანა სჭირდება.

● ორი სიტყვით შევეხოთ ჩავლილ რთველს, რომელმაც, როგორც ამას ზოგიერთი სპეციალისტი აღნიშნავს, ძალიან წარმატებით ჩაიარა. წელს რთველი ჩვეულებრივზე უფრო ადრე დაიწყო და, შესაბამისად, ადრეც დასრულდა. ზოგიერთ ადგილას ყურძნის მოსავალი თითქმის ერთი თვით ადრე მოინიეს, რაც ღვინის ხარისხისთვის მთლად სახარბიელო ნამდვილად არ არის. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ დარგის ზოგიერთ საკითხში წინსვლა ნამდვილად, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ წლის რთველი წარმატებულად იქამდე ვერ ჩაითვლება, სანამ ამ დარგს სახელმწიფოს მხრიდან ე.წ. სუბსიდირება ესაჭიროება. ეს პრობლემა უკვე წლებია, რაც ღია, შეუხორცებელ ჭრილობად გადაიქცა, რომლის მოშუშებასაც ჯერჯერობით ბოლო არ უჩანს. მეტად მტკივნეულია ასევე ე.წ. „ჭიბრიდების“ საკითხიც. რა დასამალია, მაგრამ ზოგიერთი ღვინის ქარხანა ჯერ კიდევ ყიდულობს „ვაჭირულას“, „შანიძეს“ და სხვ. ეს გახლავთ სერიოზული პრობლემა, რასაც თვალების დახუჭვა კი არა, აქაოდა ყველაფერი რიგზეაო, მოგვარება და გადაჭრა ესაჭიროება. ქართული მეღვინეობა-მეღვინეობის სფეროში კიდევ არაერთი პრობლემა არსებობს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყველაფერი ერთდროულად არ მოგვარდება და ამ პრობლემების გადაჭრას დრო ესაჭიროება...

● სტიქიის გარეშე, სამწუხაროდ, არც განვლილ წელს ჩაუვლია. ამჯერად სეტყვამ განსაკუთრებით ბაკურციხის მიდამოები დააზიანა. სეტყვას წინ ვერავინ აღუდგება, მაგრამ, ალბათ, მოვიდა დრო, როდესაც ჩვენ უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება და მათი ტექნოლოგიები უნდა დავნერგოთ ჩვენი ქვეყნის მეღვინეობის რეგიონებში, რაც ამჟამად გაცილებით დახვეწილი და გაუმჯობესებულია, ვიდრე ეს იყო, მაგალითად 15-20 წლის წინ. საუბარია სეტყვისაგან დამცავ ბადეებზე, რაც ნამდვილად ერთგვარი შვება იქნებოდა ვენახების იმ მეპატრონეთათვის, რომლებთანაც სეტყვა ხშირი სტუმარია. ცხადია, მთელს კახეთს სეტყვისაგან დამცავ ბადეს ვერავინ გადააფარებს, მაგრამ ერთი ან ორი საჩვენებელი მეურნეობის მოწყობა, ვფიქრობთ, რომ რთული ნამდვილად არ უნდა იყოს მხარის გუბერნიისათვის, საიდანაც შემდგომში მოხდება მაგალითის აღება და ამ მეთოდს სხვა მეღვინეობებიც დანერგავენ. სუბსიდირება უპირველესად ამ საქმეს სჭირდება და არა იმას, რაც დღეს ხდება...

● 2013 წელი მეღვინეობა-მეღვინეობის სფეროში დარგობრივი ლიტერატურის გამოცემებით ნამდვილად ჩამორჩებოდა 2012 წელს. არადა, ამ დარგების განსავითარებლად ახალი, თანამედროვე გამოცემები ჰაერივითაა საჭირო. ბ.მ.ა. „ელკანამ“ გამოსცა ორი ნაშრომი: „ღვინის დაყენება ქვევრში“ (Making Wine in Kvevri), რომელიც სამეცნიერო ნიგნია ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. და მეორე – „ვინის მწვანე ოპერაციები და მავნებელი დაავადებები“, რომელიც არის მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. გარდა ამისა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქალბატონმა ელის ფეირინგმა (Alice Feiring) უკვე დაასრულა თვისი ახალი ნაშრომი, რომელიც მთლიანად საქართველოს მეღვინეობა-მეღვინეობას ეძღვნება. ამ ნიგნზე მუშაობისას ქალბატონი ელისი შტატებიდან ორჯერ საგანგებოდ იყო ჩამოსული საქართველოში. შეგახსენებთ, რომ შარშან ქართულად ითარგმნა და გამოიცა მისივე ნიგნი „სრულქმნილი ღვინო“, რომელიც ნატურალური მეღვინეობის მიმართულებას ეძღვნება და ამ ნიგნის შექმნაც ნატურალური ღვინის ბარშია შესაძლებელი, რომელიც თბილისში, ტაბიძის 15 ნომერში მდებარეობს. და, რაღა თქმა უნდა, გამოცემა – „ქართული ღვინის გზამკვლევი 2013“, რომელიც ღვინის კლუბის ეგიდით უკვე მეორედ გამოიცა ქართულ-ინგლისურად. გზამკვლევს თან ახლავს საქართველოს ღვინის მეტად საინტერესო რუკა. იმედი ვიქონიოთ, რომ მომდევნო წელი გაცილებით ნაყოფიერი იქნება მეღვინეობა-მეღვინეობის სფეროში დარგობრივი ლიტერატურის გამოცემების თვალსაზრისით.

● რაც შეეხება 2013 წელს მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში ჩატარებულ ღონისძიებებს, ესენია: ბათუმში ჩატარებული „ოჯახში დაყენებული ღვინის VI ფესტივალი“; თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღვინის კლუბის მიერ უკვე მესამედ ჩატარებული „ახალი ღვინის ფესტივალი“; ქართული ტრადიციული მეღვინეობის გაერთიანების ეგიდით რაჭაში, იმერეთში და ქართლში ჩატარებული ღვინის ფესტივალები, ასევე ლონდონსა და ევროპის სხვადასხვა ქალაქებში გამართული ღვინის გამოფენა-დეგუსტაციები, სადაც საქართველოდან ძირითადად ქვევრის ღვინის მწარმოებლები მონაწილეობდნენ. ასეთი ღონისძიებები დიდად უწყობს ხელს

ქართული ნატურალური ღვინის პოპულარიზაციას და ასევე ღვინის ქართულად დაყენების დიდ საერთო საქმეს.

ამგვარი იყო 2013 წელი ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში, რომელმაც მეტ-ნაკლები პრობლემებით ჩაიარა. იმედით დაველოდოთ შემდეგ – 2014 წელს და ჩვენს ქვეყანას ვუსურვოთ, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრილიყოს ღვინის ფალსიფიკაციის პრობლემა, რომელიც უკვე კახეთის მოსახლეობასაც კი სენივით მოედო.

**გიორგი ბარისაშვილი**  
მცხეთა 2013წ.

საინტერესო ფაქტი



# 1911 წელი - გურული ჭაჭის საოსარი მოგზაურობა რომში

**XIX საუკუნის ბოლოსა და XX-ის დასაწყისში მოღვაწე ბესარიონ თევდორეს კი მგელაძე პირველი ბილდის ვაჭარი გახლდათ. მას მალაზიები ჰქონია ბათუმში, ქუთაისსა და ჭიათურაში. ცხოვრობდა ბათუმში (იქვეა დაკრძალული).**

ღვინისა, განსაკუთრებულ „ჭაჭასაც“ ხდიდა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მისი „ჭაჭა“ მთლად ტიპური „ჭაჭა“ არ იყო და იგი მას განსხვავებული ტექნოლოგიით ამზადებდა. სასმელის განსაკუთრებულობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ არყის ქვაბში გამოსახდელად ისხმებოდა არა, როგორც მიღებულია, ყურძნის ჭაჭა, არამედ ღვინო და თანაც ჩხავერის ღვინო. ამის შემდეგ კი ინყებოდა „ფირმის საიდუმლოების“ მთავარი ნაწილი. გამობდილი სასმელი დასავარგებლად ისხმებოდა კოკებში,

შედეგად სასმელი იღებდა ვარდისფერ შეფერილობას და სპეციფიკურ, განსხვავებულ გემოს. ბესარიონ მგელაძე სწორედ ამგვარი სასმელით წარსდგა კონკურსზე, რისთვისაც მან ჯერ თავისი პროდუქტი ბოთლებში ჩამოასხა და სპეციალურად დამზადებული ეტიკეტითაც გააფორმა. პროდუქტმა გამოფენაზე დიდი მონონება დაიმსახურა და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, გამოფენის უმაღლესი ჯილდო „გრანპრი“ (GRAN PREMIO) მიიღო.

დამეთანხმებით, რომ 100 წლის წინათ მომხდარი ეს ფაქტი, რომელიც ერთი საუკუნის დაგვიანებით გააშუქა ჟურნალმა „ახალმა აგარარულმა საქართველომ“, ნამდვილად საამაყო! შესაძლოა, სხვადასხვა დროს ქართული სასმელი კიდევაც მონაწილეობდა საერთაშორისო გამოფენებში და საკმაოდ წარმატებითაც, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე განსაკუთრებული ტექნოლოგიით დამზადებულ განსხვავებულ სასმელს ეხება, რომელმაც უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა, თანაც „გრანპრის“ სამშობლოში, რაც მეორე მხრივ მეტად რთული საქმეა.

ამჟამად „გრანპრი“ თბილისში ბესარიონ მგელაძის შვილიშვილთან, ბატონ რევაზ მგელაძესთან ინახება.

**გიორგი ბარისაშვილი**  
მცხეთა 2013წ.



ოლონდ ისეთ კოკებში, სადაც მანამდე გარკვეული დროით ჩხავერის ღვინო იდგა. სასმელს კოკებში ისე ასხამდნენ, რომ ნაღვინარ ჭურჭელს ძირუღლად არ რეცხავდნენ და მას მხოლოდ ერთხელ, მსუბუქად ავლებდნენ წყალს.

საპორტო ქალაქიდან მას სავაჭროდ ევროპაში ხშირად უწევდა მოგზაურობა. ერთხელაც ლონდონში მიმავალს შეუტყვია, რომ რომში ყოველწლიურად სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გამოფენა ტარდებოდა, რომლის ფარგლებშიც ალკოჰოლურ სასმელებს საკმაოდ დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. აქედან გამომდინარე, მას განუზრახავს ჩასულიყო გამოფენაზე და, უფრო მეტიც, მონაწილეობაც კი მიელომასში, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც მისთვის, ისე ჩვენი ქვეყნისთვისაც.

საქმე ისაა, რომ ბესარიონ მგელაძეს გურიამი, სოფელ ბახვში ჩხავერის ვენახი ჰქონდა. გურიის წითელყურძნის საღვინე ვაზის უნიკალური ჯიშის – ჩხავერის ქებას არ მოვყვებით, მხოლოდ ვიტყვით, რომ ბესარიონი, გარდა

# მაცვლის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები

დასაწყისი ნი. № 12, დეკემბერი, 2013 წ.

## ნიადაგის pH-ის შეცვლა

ნიადაგის pH-ის მაჩვენებელი შეიძლება გაიზარდოს კირის დამატებით, ან შემცირდეს გოგირდის დამატებით. ეს დანამატები ნიადაგში უნდა დაემატოს დარგვამდე სულ მცირე რამდენიმე თვით ადრე. ნიადაგის pH-ის შესაცვლელად კირის ან გოგირდის საჭირო რაოდენობა განისაზღვრება იმით, თუ რა სახის არის (შემადგენელი ნაწილების ზომები და პროპორცია) დასამატებელი ნივთიერებები და როგორია მოცემული ნიადაგის ბუფერობა. წვრილი მარცვლების დიდი რაოდენობა (60-100) მიანიშნებს წვრილად დაფქულ კირს ან გოგირდზე, რომელიც უფრო სწრაფად შევა რეაქციაში ნიადაგის pH-ის შესაცვლელად.

ნიადაგის ბუფერობა დამოკიდებულია კათიონების გაცვლით უნარიანობასა (CEC) და ნიადაგში არსებული ორგანული ნივთიერებების შემცველობაზე. მაღალი CEC-ის ან/და ორგანული ნივთიერებების მაღალი შემცველობის ნიადაგის ბუფერულობა უფრო მაღალია; ასეთ ნიადაგებზე საჭიროა უფრო დიდი რაოდენობით კირის ან გოგირდის დამატება pH-ის იმავე დონით ცვლილებისთვის. ტუტე ნიადაგში (pH>7) წვრილმარცვლოვანი გოგირდი უნდა შეერიოს ნიადაგის ზედა 20 სმ ფენაში დარგვამდე სულ მცირე რამდენიმე თვით ადრე, pH-ის მაჩვენებლის ოპტიმალურ ზღვრამდე შესამცირებლად.

ნიადაგის მოდიფიცირება დარგვამდე ბევრად უფრო იოლია, ვიდრე დარგვის შემდეგ. ნიადაგის ზედაპირზე მარცვლოვანი გოგირდის დამატებით შემცირდება მხოლოდ ზედა რამდენიმე სმ-ის pH-ის დონე. თუმცა, დროთა განმავლობაში pH-ის დონე თანდათანობით შემცირდება ნიადაგის ღრმა ფენებშიც.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია სხვადასხვა სტრუქტურის

ნიადაგებში pH-ის 6.5-მდე შესამცირებლად წვრილმარცვლოვანი გოგირდის საჭირო რაოდენობა.

მჟავე ნიადაგის შემთხვევაში, რომლის pH 6.0-ზე ნაკლებია, აუცილებელი იქნება ნიადაგის pH-ის 6.5 0.5-მდე გაზრდა ფესვთა ზონაში მაცვლის ოპტიმალური ზრდის მისაღებად. ეს სრულდება წვრილად დაფქვლილი კირის (CaCO<sub>3</sub>), დოლომიტის კირქვის [CaMg (CO<sub>3</sub>)<sub>2</sub>] ან ჰიდრატირებული კირის (CaOH<sub>2</sub>) შერევით დარგვამდე სულ მცირე რამდენიმე თვით ადრე, რათა ნიადაგს მიეცეს pH-ის შეცვლის დრო. დასამატებელი კირქვის რაოდენობა დამოკიდებულია ნიადაგის pH-ზე, CEC-ზე და ორგანული ნივთი-

გოგირდი ( ტონა/ჰექტარზე)		
ნიადაგის არის რეაქცია	pH 8.5 - 6.5	pH 7.5 - 6.5
ქვიშა	2.9	2.2
ქვიშნარი	2.3	1.8
თიხნარი	2.0	1.4
ლამიანი თიხნარი	1.6	1.1
მძიმე თიხნარი	1.2	0.7

ერებების პროცენტულ შემცველობაზე. დაბალი CEC-ს მქონე ნიადაგის pH უფრო სწრაფად გაიზრდება მაღალი CEC-ის მქონე ნიადაგთან შედარებით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია წვრილმარცვლოვანი კირქვის საჭირო რაოდენობა pH-ის მაჩვენებლის 6.5-მდე გასაზრდელად სხვადასხვა ტექსტურის ნიადაგებში.

კირი საფუძვლიანად უნდა შეერიოს როტაციული კულტივატორით, უკეთესია მინიმუმ 30 სმ სიღრმეზე. მაცვლის საუკეთესო განვითარებისათვის კირი უნდა შეერიოს მთელ ნაკვეთს (სურათი 8).

## დაგეგმილი ნიადაგი

მაცვლის ძალიან მგრძობიარეა ნიადაგში მარილის შემცველობაზე და არ უნდა დაირგას ნიადაგში, სადაც

კირი (ტონა/ჰექტარზე)		
ნიადაგის არის რეაქცია	pH 4.5 - 6.5	pH 5.5 - 6.5
ქვიშა	2.8	1.5
ქვიშნარი	5.3	3.3
თიხნარი	7.5	4.3
ლამიანი თიხნარი	8.7	5.0
მძიმე თიხნარი	10.5	5.7

მარილის შემცველობა 1.5 დს/მ-ზე მაღალია. მარილის მაღალი კონცენტრაცია ფესვთა ზონაში ხელს უშლის მცენარეს ნიადაგიდან წყლის და საკვები ნივთიერებების შენოვაში. ნიადაგში ხსნადი მარილების მაღალი კონცენტრაცია ხელს შეუშლის ახალი ფესვების განვითარებას და აფერხებს ღეროების ზრდას. მცენარეების სიძლიერის შესუსტება და მოსავლის შემცირება შეიძლება მოხდეს ფოთლების სიმპტომების გამოვლენამდე. მარილის მაღალი შემცველობის ნიადაგში მაცვალს ექნება ფოთლის კიდეების ქლოროზი/ნეკროზი და შეფერხებული ზრდა (სურათი 9). დაზიანება უფრო თვალსაჩინოა შედარებით სწიერ ფოთლებზე.

მარილით მოწამვლა შეიძლება გამოიწვიოს სარწყავ წყალში ან ნიადაგში მარილის მაღალმა დონემ, ცუდმა დრენაჟმა, სასუქის, მათ შორის ნაკელის გადაჭარბებული დოზით გამოყენებამ ან სველ ფოთლებზე სასუქის შეტანამ. მაცვალი განსაკუთრებით მგრძობიარეა ქლორიდებისა და ნატრიუმის მარილებისადმი; დაზიანება უფრო თავს იჩენს ცხელი თვეების განმავლობაში და მარილიან ნიადაგში გაზრდილი მცენარეების გამოწვეული სიმპტომების ანალოგიურია.

მნიშვნელოვანია დარგვამდე საკმარის დროით ადრე წყლის და ნიადაგის ტესტირება და სათანადო ირიგაციის და განოყიერების პროცედურების დაცვა, ნიადაგში მარილიანობის გაზრდის პრევენციისთვის, მარილით გამოწვეული დაზიანების დიაგნოსტიკისთვის სასურველია ფოთლის



**სურათი 8. კირის ნიადაგში შეტანა მაცვლის დარგვამდე**

ანალიზის ჩატარება, რის შედეგადაც შეიძლება გამოვლინდეს მაცნე ნატრიუმის ან ქლორიდის დაგროვება ფოთლის სიმპტომების გამოაშკარავებამდე. მაცვლის ფოთლები დამწვარი კიდეებით ან წვერით, როგორც წესი, ქლორიდით ან ნატრიუმის მარილებით მონამვლის მანიშნებელია. იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებული ფოთლები შეიცავენ 0.2%-ზე მეტ ნატრიუმს ან 0.5%-ზე მეტ ქლორიდს, ფოთლის დაზიანება ძირითადად შეიძლება განპირობებული იყოს ნატრიუმით ან ქლორიდით მონამვლით.

ხსნადი მარილის კონცენტრაცია წარმოადგენს მაცვლის ფესვთა ზონაში არსებული სასუქის და სხვა იონების საერთო რაოდენობის მაჩვენებელს. მარილები წარმოადგენილია როგორც დადებითად, ისე უარყოფითად დამუხტული მინერალური იონებით. ეს დამუხტული ნაწილაკები ზრდიან წყლის ელექტროგამტარობის უნარს, ამიტომ მათი კონცენტრაცია შეიძლება შეფასდეს ელექტროგამტარობის (EC) გაზომვით. ხსნადი მარილები იზომება ელექტროგამტარობის საზომის გამოყენებით და გამოიხატება მილიმოებით თითო სანტიმეტრზე (მოძველებული) (მმ/ოს/ცმ) ან დეცი-სიმენსით თითო მეტრზე (დმ/მ), რომლებიც რიცხობრივად ექვივალენტურია.

მაცვლის მოსავალი მცირდება, როდესაც ნიადაგის ფესვთა ზონაში ელგამტარობა 1.5 დმ/მ-ზე მაღალია. ნიადაგის მარილიანობის 1.95 დმ/მ შემთხვევაში მოსავალი მცირდება დაახლოებით 10%-ით, 25%-ით - 2.65 დმ/მ-ის შემთხვევაში, ხოლო 50%-ით, როდესაც გამტარიანობა 3.80 დმ/მ-ს შეადგენს. როდესაც ნიადაგის ტესტები მიუთითებს, რომ EC აღემატება 1.5

დმ/მ-ს, რეკომენდებულია ნიადაგის აღდგენის ღონისძიებების ჩატარება წყლის გასაზომად და ნიადაგში მარილების კონცენტრაციის გასაზომად. არსებობს სხვადასხვა პორტატული და სტაციონარული ელექტროგამტარობის საზომი ხელსაწყოები (დიაგრამა 10). საზომები რეგულარულად უნდა დაკალიბრ-

დეს ცნობილი ელექტროგამტარობის მქონე ხსნარების გამოყენებით. სარწყავი წყლის მარილიანობა შეიძლება განისაზღვროს უშუალოდ განუზავებელი ნიმუშის გამოყენებით. ტესტირების პროცედურა მარტივია. ამისათვის სუფთა კონტეინერში უნდა შეგროვდეს წყლის ნიმუში. ელექტროგამტარობის ზოგიერთ საზომს აქვს ნაწილი, რომელიც თავსდება წყალში. სხვებს კი აქვთ თავსახური, რომელშიც წყალი უნდა ჩაისხას. ელექტროგამტარობის საზომების უმეტესობას არ სჭირდება დიდი დაკალიბრება, მაგრამ აუცილებელია მათი სუფთად შენახვა. საზომი ირთვება, ზონდი მთლიანად ეშვება ნიმუშში და ეკრანზე იწერება ელექტროგამტარობის მაჩვენებელი.



**სურათი 9. ფოთლის კიდეების ნეკროზი მარილით მონამვლის ტიპური სიმპტომია.**

ნიადაგების მარილიანობის განსაზღვრა შეიძლება გაჯერებული ნიადაგის ხსნარის გამტარობის გა-

ზომვით. ნიადაგი უნდა შეერიოს გამოხდელ წყალში 1:5 თანაფარდობით, კარგად შეინჯღრეს, დაიდგას 30-60 წუთის განმავლობაში და აღირიცხოს ელექტროგამტარობის მაჩვენებელი. ჩვენების სიზუსტე შეიძლება გაუმჯობესდეს გაფილტვრის საშუალებით ნაწილაკების მოცილებით, თუმცა ეს არ არის აუცილებელი. თანამიმდევრულობისთვის ნიადაგი ჰაერზე უნდა გაშრეს. როგორც წესი, საკმარისია 50-100 მლ ნიადაგი. ელექტროგამტარობის გაზომვა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ სუფთა წყალი არ ატარებს ელექტრობას, იონების შემცველი ელექტრონულად დამუხტული ნაწილაკები კი გაატარებენ ელექტრობის მზარდ მოცულობას იონების კონცენტრაციის ზრდასთან ერთად. რაც უფრო მეტი იონია ხსნარში, მით უფრო მეტ ელექტროენერჯიას ატარებს და მით უფრო მაღალი იქნება ელექტროგამტარობის მაჩვენებელი.

დარგვამდე საკვები ნივთიერებების შემცველობის გასაგებად უნდა ჩატარდეს ნიადაგის მაკრო და მიკროელემენტების ანალიზი. ნიადაგის ტესტის პასუხისა და მაცვლის ფოთლის ანალიზის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს ნიადაგის განოყიერების სისტემა. ქსოვილში მინერალური ნივთიერებების ოპტიმალური კონცენტრაციები მოყვანილია ამ სახელმძღვანელოს სექციაში – „განოყიერება“.

**ნემატოდები**

ნემატოდებზე ანალიზი უნდა იყოს ასევე ნიადაგის ანალიზის ერთ-ერთი კომპონენტი. ნემატოდები - ესაა მიკროსკოპული ზომის მრგვალი მწერები, რომლებიც ნიადაგში ბინადრობენ. არსებობს სხვადასხვა სახის ნემატოდები; ზოგიერთი მათგანი მაცვლისთვის საზიანოა. მცენარეების დაზიანებას იწვევს ნემატოდებით ფესვების დაზიანება. დაავადებულ მცენარეებს აღენიშნებათ სუსტი ზრდა და ზრდის შეფერხება. ნემატოდებს ასევე შეუძლიათ დაავადებების გადატანა. ნემატოდები გადაადგილდებიან ნიადაგის კაპილარების გავლით, მაგრამ წელიწადში დამოუკიდებლად მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრით შეუძლიათ გადაადგილება. თუმცა, ნიადაგის მოხვნისას ნემატოდები შეიძლება უფრო დიდ მანძილზე გავრცელდნენ. ნემატოდის ზოგიერთი სახეობა იწვევს მაცვლის მცენარის დასუსტებას. ყველაზე მნიშვნელოვანია გალბიანი



სურათი 10. პორტატიული, ბატარეაზე მომუშავე ელექტროგამტარობის საზომები.

ნემატოდა (Xiphenema species). პლანტაციის გაშენება არ არის რეკომენდებული ისეთ ნიადაგში, სადაც მაღალია გალბიანი ნემატოდის პოპულაციები.

### რიგვის/შავალღებულ რიგვ-კვლევის „ბედავის“ ფორმირება

ნაკვეთის მომზადების და ნიადაგში საჭირო დანამატების შეტა-

ნის შემდეგ ხდება გასაშენებელი რიგების ან კვლების მოწყობა. მყვალვი შეიძლება დაირგას სწორ ზედაპირზე, კარგი დრენაჟის პირობებში. არასასურველი დრენაჟის პირობებში მყვალვი უნდა დაირგას შემალღებულ კვლებზე, რომელიც ეწყობა დაახლოებით 25 სმ-ის სიმაღლის და მინიმუმ 75 სმ სიგანის მქონე (სურათი 11) ზოლებად. კვლების ცენტრებს შორის მანძილი სულ მცირე 3.0 მეტრს უნდა შეადგენდეს. ამის შედეგად საკმარისი ფართობი დარჩება რიგთაშორისების დასამუშავებლად და აგროტექნიკური ღონისძიებების ჩასატარებლად (განოყიერება, შესხურება, მოსავლის აღება). მანძილი რიგებს შორის ასევე დამოკიდებულია ნარგავის მოვლისთვის გამოყენებული ტექნიკის გაბარიტებზე, მაგრამ იმის გათვალისწინე-

ბით, რომ შესაძლებელი იყოს მცირე ზომის კულტივატორის გამოყენება. დაქანებულ ფართობზე ნარგავები კონტურულად უნდა დაიგეგმოს და რიგები განლაგდეს ფერდობის პერპენდიკულარულად, ნიადაგის ეროზიის შესამცირებლად.



სურათი 11. არასასურველი დრენაჟის პირობებში შემალღებულ კვლებზე.

## ახალი სანარმო



# სოიოს გადამამუშავებელი ქარხანა

„შელავთიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში ქალაქ ფოთში შპს „იუნინგრეინ ჯორჯიან გრუპმა“ თანამედროვე სტანდარტების სოიოს გადამამუშავებელი ახალი სანარმო გახსნა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პროექტების მართვის სააგენტოს „შელავთიანი აგროკრედიტის პროექტის“ დახმარებით შპს „იუნინგრეინ ჯორჯიან გრუპმა“ 600000 აშშ დოლარის კრედიტი „ხალიკ ბანკი საქართველოსგან“ აიღო. პროექტის ფარგლებში კომპანიას სესხის საპროცენტო განაკვეთს (10.75%) პროექტების მართვის სააგენტო დაუფარავს. შპს „იუნინგრეინ ჯორჯიან გრუპმა“ სოიოს გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისთვის და თანამედროვე დანადგარების შესაძენად, საერთო ჯამში 2300000 ლარის ინვესტიცია განახორციელა.

თანამედროვე სტანდარტების სოიოს გადამამუშავებელი ქარხანა აღჭურვილია უახლესი ევროპული პრესებით და გადამამუშავებელი დანადგარებით. ქარხანა სამი დასახელების პროდუქტს აწარმოებს, კერძოდ: ტოსტირებულ სოიოს, კოპტონს და სოიოს ზეთს. თანამედროვე დანადგარები დღეში 100 ტონა ნედლეულის გადამამუშავების საშუალებას იძლევა.

ახალი სანარმოს დათვალეობისას სოფლის მეურნეობის მინისტრი და სხვა სტუმრები სოიოს გადამამუშავების პროცესსა და დანადგარების მუშაობის სპეციფიკას ადგილზე გაეცნენ.

შპს „იუნინგრეინ ჯორჯიან გრუპი“ 2005 წლის 28 ივლისს დაარსდა. კომპანიაში 68 ადამიანი დასაქმებული და მათი საშუალო ხელფასი 1000 ლარამდეა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით საერთაშორისო ვაჭრობა – ტრეიდინგი. კომპანიის სანედლეულო ბაზარი ამ ეტაპზე პოსტსაბჭოთა სივრცის სამ ქვეყანას: უკრაინას, რუსეთის ფედერაციასა და ყაზახეთს მოიცავს. შპს „იუნინგრეინ ჯორჯიან გრუპი“ წარმოებული პროდუქციის გატანას სომხეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში გეგმავს. დღეისათვის კომპანია სოიოს, მზესუმზირის, სიმინდის, ხორბლისა და ქერის, ასევე გადამამუშავებული პროდუქციის ექსპორტს ახორციელებს.



## აკადემიკოსი შალვა კერესელიძე - გამორჩენილი ქართველი მეცნიერი და გაგულიზვილი

2013 წლის 26 დეკემბერს დაგადავიდან 100 წელი შეუსრულდა სამთო მინათმოქმედების და სუბტროპიკული კულტურების შრომატანად პროცესთა მექანიზაციისათვის მანქანათა სისტემის ფუძემდებელს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გენერალურ კონსტრუქტორს, ლენინური პრემიის ლაურეატს, სოციალისტური შრომის გმირს, საპარტოველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერებათა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, დამსახურებულ გამომგონებელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ შალვა იასონის-ძე კერესელიძეს.

შალვა კერესელიძე 1913 წლის 26 დეკემბერს ონის რაიონის სოფელ უნერაში დაიბადა. იქვე მიიღო საშუალო განათლება, რის შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1936 წელს და შემდეგ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სოფლის მეურნეობის შრომატანად პროცესთა მექანიზაციის საქმეს მიუძღვნა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე იგი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მაშინდელი საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი ხდება. მალე ის მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. დაბრუნების შემდეგ მუშაობას იწყებს საქართველოს სასოფლო – სამეურნეო ინსტიტუტის ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის ასისტენტად. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ შ. კერესელიძეს აღნიშნული კათედრის დოცენტად ირჩევენ და მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ ნიშნავენ.

1949 წელს სტალინის განკარგულებით ქ. თბილისში საკავშირო დაქვემდებარების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო გაიხსნა, რომელსაც სათავეში ახალგაზრდა მეცნიერი, დოცენტი შ. კერესელიძე ჩაუდგა.

საქართველოში აქედანვე იღებს სათავეს სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, რომლის ფუძემდებლად სამართლიანად გვევლინება აკად. შ. კერესელიძე.

1954 წელს ბატონი შალვა კერესელიძე მის უსაყვარლეს საქმიანობას ჩამოაშორეს. იგი იძულებული ხდება გადავიდეს სამუშაოდ 1953 წელს ჩამოყალიბებულ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (შემდეგში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის გამგედ, ხოლო შემდგომ სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში პრორექტორად, სადაც მან ურთულესი სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური სამუშაოები ჩაატარა, რასაც საქვეყნოდ ცნობილი ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ შექმნა და წარმოებაში დანერგვა მოჰყვა.

ბატონი შალვას ინიციატივით ქუთაისში საავტომობილო ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს სპეციალისტებმა პირველი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი „რიონი“ დააპროექტეს და დაამზადეს, რაც საფუძვლად დაედო ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის დაარსებას.

1961 წელს ბატონი შალვა წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას და მას მალე პროფესორის ნოდებაც მიენიჭა. იმავე წელს პროფ. შ. კერესელიძე საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი ხდება. 1962 წლიდან იგი საქართველოს კ.მ. ამირეჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან დაარსებული ჩაის მოვლა-მოყვანისა და ფოთლის კრეფის მანქანათა საპრობლემო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელია.

1967 წელს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს“ დამუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის პროფ. შ. კერესელიძეს და კონსტრუქტორთა ჯგუფს მაშინ ფრიად პრესტიჟული ლენინური პრემია მიენიჭა. ამავე პერიოდში მას საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატადაც ირჩევენ.

1969 წელს პროფ. შ. კერესელიძეს ენიჭება სოციალისტური შრომის გმირის ნოდება. 1971 წელს მისი თაოსნობით წარმატებით დაგვირგვინდა ჩაის მანქანათა საპრობლემო ლაბორატორიისა და სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ბაზაზე მსოფლიო პრაქტიკაში პირველი სამთო მინათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ჩამოყალიბება. ძველ კადრებთან ერთად ბატონმა შალვამ თავი მოუყარა დიდი შემოქმედებითი უნარის მქონე მეცნიერებს, კონსტრუქტორებს და ტექნოლოგებს. ინსტიტუტის 25 წამყვან განყოფილებაში მუშაობდა 540-მდე თანამშრომელი, მათ შორის ლენინური პრემიის ლაურეატები, მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები, საკავშირო მასშტაბით ცნობილი მრავალი გამომგონებისა და საავტორო მოწმობების მქონე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ინსტიტუტის შექმნა საქართველოში დიდ ეროვნულ საქმედ იქნა აღიარებული.

1972 წელს პროფ. შალვა კერესელიძე დაინიშნა სამთო მინათმოქმედებისა და სუბტროპიკულ კულტურათა მან-

ქანების გენერალურ კონსტრუქტორად. გენერალური კონსტრუქტორის საპატიო წოდებამ საშუალება მისცა პროფ. შ. კერესელიძეს 1972 წელს საკავშირო ორგანოების წინაშე დაესვა საკითხი ჩაის საკრეფი მანქანის „ჩა-900“ წარმოებაზე დასაყენებლად, რომელიც დადებითად გადაწყდა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ პროფ. შ. კერესელიძის მხარდაჭერით მიეცა „ჩა-900“-ს წარმოებაში არსებობის უფლება. ამით წერტილი დაესვა დიდი ხნის დაპირისპირებას ორ სხვადასხვა პრინციპზე მომუშავე ჩაის საკრეფ მანქანებს „საქართველოს“ და „ჩა-900“-ის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. მაღლიერმა ქართველმა საზოგადოებამ ძეგლიც კი დაუდგა ჩაის საკრეფ მანქანებს „საქართველოს“ ლაითურისა და „ჩა-900“-ს წალენჯიხის ჩაის მეურნეობებში.

1974 წელს საქვეყნო საქმისათვის საზიანოდ ბატონი შალვა ჩამოაშორეს მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტში საქმიანობას და და იგი მუშაობას იწყებს საქართველოს კ.მ. ამირეჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პრობლემური ლაბორატორიის გამგედ, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მთელი მონდომებით აგრძელებდა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს.

1994 წელს პროფ. შ. კერესელიძე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად-აკადემიკოსად აირჩიეს.

დიდაა შ. კერესელიძის დამსახურება სატრაქტორო და სასოფლო სამეურნეო მანქანათმშენებლობის ჩამოყალიბებასა და განვითარების საქმეში. განსაკუთრებით გამოკვეთილია მისი ღვაწლი ჩაის მოვლა-მოყვანისა და კრეფის მანქანათა კომპლექსის დამუშავებისა და წარმოებაში დანერგვის პროცესში. ეს კომპლექსი ითვალისწინებდა 32 დასახელების სპეციალიზებულ ტექნიკურ საშუალებას.

აკად. შ. კერესელიძის ხელმძღვანელობით 1970-1975 წლებში რესპუბლიკის ჩაის მეურნეობებში დაინერგა ჩაის ფოთლის წარმოების ინდუსტრიული ტექნოლოგია, რომელიც უწყვეტი ნაკადური ციკლია, სადაც ოპერაციების ნაკადურობითა და ოპტიმალური ფუნქციონირებით მიიღწევა ნედლეულისა და, შესაბამისად, საბოლოო პროდუქციის მაღალი ხარისხი. ინდუსტრიული ტექნოლოგიის დანერგვა მნიშვნელოვან რგოლს წარ-

მოადგენდა, ნედლეულის გადაზიდვა, რომლის ძირითადი მიზანი მოკრეფილი ნედლეულის ხარისხის შენარჩუნება იყო. ამის მაგალითი გახლდათ გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩვენი ქვეყნის ჩაის მწარმოებელ მეურნეობებში ჩაის ფოთლის უტარო გადაზიდვის დანერგვა.

აკად. შ. კერესელიძე სამეცნიერო-საკონსტრუქტორო საქმიანობასთან ერთად განუწყვეტლივ ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარა ახალ საინჟინრო დისციპლინას „სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაცია“, რომელსაც სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე კითხულობდა. მისივე წინადადებით და უშუალო მონაწილეობით 90-იანი წლების დასაწყისში აგრარულ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა სპეციალობა „სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის კონსტრუქტორი“, რომლის პირველი გამოშვება 1995 წელს განხორციელდა.

აკად. შ. კერესელიძეს თავისი მოღვაწეობის პერიოდში მომზადებული ჰყავს 70-ზე მეტი დოქტორანტი, ასპირანტი და მაძიებელი, რომლებმაც წარმატებით დაიცვეს დისერტაციები. ბევრი მათგანი დღეს აკადემიკოსი და პროფესორია, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არიან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეცნიერული კადრების მთელი პლედის მომზადება განპირობებული თვით ბატონი შალვას პიროვნული თვისებებით, რომლის დამოკიდებულება ახალგაზრდობასთან ცალკე კვლევის საგანია.

დიდაა აკად. შ. კერესელიძის დამსახურება ქვეყნის წინაშე, მაგრამ მისი პირდაპირობა, პრინციპულობა და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული არ მოსწონდა ბევრს, მათ შორის ქვეყნის იმდროინდელ ხელმძღვანელობას. მისი ცხოვრების უკანასკნელი 20 წელიწადი სახელმწიფოსაგან უყურადღებობის პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს, რასაც ბატონი შალვა ნამდვილად არ იმსახურებდა.

ყოველივე ამან და კიდევ ოჯახურმა ტრაგედიამ მას

თანდათანობით ჯანმრთელობა შეურყია, რაც სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში აშკარად გამოიკვეთა. მძიმე სენით დაავადებული ბატონი შალვა 1997 წელს გარდაიცვალა.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ ბატონი შალვას პიროვნებით, რომელმაც ცხოვრების მიზნად დაისახა მშრომელი კაცის განთავისუფლება მძიმე ხელით შრომისაგან და საფუძველი ჩაუყარა ქართულ სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას.

მერე რა, რომ დღეს მავანთა მიერ გაპარტახებულია და ჯართადაა გაყიდული მანქანათმშენებელი ქარხნები. მალე დადგება სხვა დრო, როცა ქვეყანას კვლავ მძაფრად დასჭირდება სამამულო მანქანათმშენებლობის პროდუქცია და დაინება სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის აღორძინება, რასაც ჩვენ ოპტიმიზმით ვუყურებთ და როგორც ბატონი შალვა იტყოდა, „ჩვენი ღრმა რწმენით მეცნიერების განვითარება სპირალური აღმასვლაა მხოლოდ“.

ბატონი შალვასგან დამოძღვრილები ამ იმედით შევყურებთ მომავალს.

**ელგუჯა შაფაძიძე,**

*საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;*

**ნუზარ შაბაიძე,**

*ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;*

**თამაზ ცანავა,**

*ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*





# მეჩაიეობა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია

სუბტროპიკული კულტურებიდან საქართველოში ჩაის წამყვანი ადგილი უკავია. მცირემიწიანობის მიუხედავად ამ ზონაში ეკონომიკურად მძლავრი საზოგადოებრივი მეურნეობები არსებობდა. ამ კულტურასთან არის დაკავშირებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება და ალმაგვობა.

## მეჩაიეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში

დასავლეთ საქართველოში ჩაის სამრეწველო პლანტაციების გაშენება მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება, რაც ამ ზონაში არსებულმა სასურველმა ნიადაგურ-კლიმატურმა პირობებმა და შესაბამისმა ბიოეკოლოგიურმა მოთხოვნილებებმა განაპირობა. ყოველივე ამის შედეგად რაციონალურად მოხდა მუშახელის დასაქმება. მეჩაიეობაში დასაქმების ხარისხი მაღალია. მთლიანად იქნა ათვისებული ბუნებრივ-ეკოლოგიური შესაძლებლობები სპეციალიზებული მეურნეობების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო შემოსავლების ზრდას და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## როგორია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის უსაქმევლობა დღეს?

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მეჩაიეობა ისტორიულად ძირითად მაპროფიტებელ დარგს წარმოადგენდა. მისი წილი ეკონომიკურ მაჩვენებლებში 85-90 %-ით განისაზღვრებოდა. ჩაის ნედლეულის კრეფის მოცულობა წლიდან წლამდე იზრდებოდა. მეჩაიეობა იყო განმსაზღვრელი ასევე სამრეწველო პროდუქციაშიც, რომლის მოცულობა 60-67 მილიონ მანეთს შეადგენდა. 1992 წელს რაიონში 32000 ტონა ჩაის ნედლეული მოიკრიფა. საკმაოდ მაღალი იყო დასაქმების მაჩვენებელიც, რაც საშუალოდ 2000-2500 კაცს შეადგენდა. მექანიზაციის დონის მხრივაც საუკეთესო მდგომარეობა იყო.

1992 წლისათვის რაიონში ჩაის პლანტაციებს 3400 ჰა. ეკავა, სადაც 95%-ზე მეტი იყო მოსავლიანი. აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში წარმოებული პროდუქციის 40 %-ზე მეტი ამ დარგზე მოდიოდა. ჩაის გადამამუშავებას 5 ჩაის გადამამუშავებელი, ერთი საწონი ფაბრიკა და რამდენიმე მცირე საწარმო ემსახურებოდა.

რაიონისთვის მეჩაიეობას დიდ ეკონომიკურ მნიშვნელობასთან ერთად ეკოლოგიური დატვირთვაც აქვს. ფართობების 15- 20% გაშენებულია ფერდობზე, რაც ეროზიული მოვლენების საწინააღმდეგოდ საუკეთესო საშუალებაა.

რაიონში გადამამუშავებელი ნედლეულისაგან ძირითადად შავი ბაიხის ჩაი მზადდებოდა, რაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში იყიდებოდა. სამეურნეო და გადამამუშავებელი საწარმოები ერთნაირად იყო დაინტერესებული მოსავლიანობისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით. მეტ-ნაკლებ კონტროლს ექვემდებარებოდა აგროტექნიკის დაცვა. საინტერესო ფორმას წარმოადგენდა გადამამუშავების და ნედლეულის დამზადების სფეროების გაერთიანება და კომბინატების შექმნა. ამ ფორმამ დადებითი როლი შეასრულა იმ მხრივ, რომ ნედლეულის დამზადება-გადამამუშავება და რეალიზაცია ერთ სისტემაში იყო მოქცეული. რაიონში ასეთ სისტემას ქმნიდა წალენჯიხის აგროკომბინატი, ჩაის გადამამუშავებელი საწარმო „კოლხეთი“, „ნაკიფუ“ და დაბა ჯვარის საწარმოები.

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის გამო სუბტროპიკული მეურნეობა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. დაიხურა საწარმოები, მოიშალა მატერიალურტექნიკური ბაზა, განოციერების სისტემა, დაიწყებას მიეცა ჩაის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია. მასობრივი ხასიათი მიიღო პლანტაციების თვითნებურად ამოძიკვამ, ცეცხლის ნაკიდებამ და სხვა მიუღებელმა მეთოდებმა. სოფლად მოიშალა ინფრასტრუქტურა, გლეხობას დაეუფლა უიმედობის განცდა, ველარ გაიგო რა მიმართულება აერჩია, რა იყო პრიორიტეტი. გარდა ამისა, ბევრი სამუშაოდ მეზობელ ქვეყნებში წავიდა.

## რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად?

არსებული მძიმე მდგომარეობის შეცვლა შესაძლებელია, თუმცა ამისათვის სახელმწიფომ რადიკალური ღონისძიებები უნდა გაატაროს! პირველ რიგში საჭიროა ფინანსური მხარდაჭერა, პლანტაციების აღდგენა, ჩაის გადამამუშავებელი საწარმოების რეაბილიტაცია, ძირფესვიანად უნდა მოხდეს თემების მიხედვით ჩაის პლანტაციების პასპორტიზაცია.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ჩატარებული პასპორტიზაციით ირკვევა, რომ ჩაის პლანტაციის ფართობი

970 ჰექტარს შეადგენს. აქედან 350 ჰა ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაშია, დანარჩენი მოითხოვს განახლება-გახალგაზრდავებას – მძიმე და ნახევრად მძიმე გასხვლებს. მოვლა-დამუშავების ღონისძიებების დროულად და ხარისხიანად ჩატარების შემთხვევაში 2-3 წელიწადში 600-800 ჰა-ზე შეიძლება მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღება. აღნიშნული ღონისძიება ეკონომიკურ ეფექტს სწრაფად მოგვცემს და ახალი პლანტაციების გაშენებასთან შედარებით ნაკლები დაიხარჯება.

### ბასატარებელი ღონისძიებები

1. ჯიშობრივი შემადგენლობის და ასაკის შესაბამისად ჩაის პლანტაციების პასპორტიზაცია;
2. ნიადაგის მეცნიერულად დამუშავებული განოციერების სისტემების გამოყენება;
3. ტრადიციულ ბაზრებზე შეღწევის მიმართულებით მუშაობა, შიდა ბაზრის კონტრაბანდული უვარგისი, იაფფასიანი პროდუქციისაგან დაცვა;
4. კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება, ნედლეულის დამზადების სისტემაში ანაზღაურების ფორმების დახვეწა;
5. მეჩაიეობის განვითარების მიმართულებით მთავრობის მიერ სპეციალური სარეაბილიტაციო პროგრამისა და ფონდის შექმნა. რეაბილიტაციაში მონაწილე საწარმოების გადასახადებისგან განთავისუფლება;
6. პლანტაცია, ნედლეულის გადამუშავება, მზა პროდუქცია და რეალიზაცია მთლიანად ერთ სისტემაში უნდა მოექცეს.

### გადამუშავების სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასება

რაიონის მასშტაბით ჩაის ნედლეულს შპს „ლაზი“, „ჯვარი 2003“ და ინდივიდუალური საწარმო „გელოვანი“ ამუშავებენ. ტექნიკური გადაიარაღების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ახალი ხაზის შექმნის, ხარისხიანი პროდუქციის

გამოშვების, ტექნოლოგიის სრულყოფის მხრივ მდგომარეობა ხელსაყრელია, საწარმოებში ფუნქციონირებს შავი და მწვანე ჩაის პროდუქციის ხაზები.

სრულფასოვნად დატვირთვის შემთხვევაში საწარმოების სიმძლავრეები 4-5 ათასი ტონა ნედლეულის გადამუშავების საშუალებას იძლევა.

ჩაის პლანტაციის სრული რეაბილიტაციის შემთხვევაში აუცილებელი იქნება 3-4 მიკროფაბრიკა, რომელიც მსხვილ გადამამუშავებელ საწარმოებთან უნდა იყოს ინტეგრირებული.

დარგის განვითარებაზე ასევე დადებითად იმოქმედებს სპეციალიზებული კოოპერატივების შექმნა. საამისო ბა-



ზა თითქმის ყველა თემში არსებობს. ამრიგად, მეჩაიეობის, როგორც მნიშვნელოვანი დარგის რეაბილიტაცია რაიონის სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანის აუცილებელი პირობაა.

**ნუზარ კლანდია,**  
*ასოცირებული პროფესორი, წაღწევის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი*

### საენცილისტის თვალით



## მოსაზრებები საქართველოს სოფლის მეურნეობის მომავალზე

საგაზრო ეკონომიკის პირობებში სწორედ გაზარი უზრუნველყოფს კავშირს მხარ-მოვალესა და მომხმარებელს შორის, ე.ი. გაზარი განსაზღვრავს თანაფარდობას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

საბედნიეროდ, დღევანდელ რეალობაში ბაზარზე დეფიციტი არ არსებობს, დამყარებულია თანაფარდობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, მაგრამ სხვა საკითხია ის, რომ დღევანდელი სამომხმარებლო კალათის 80%-ს იმპორტირებული სასოფ-

ლო-სამეურნეო პროდუქტები შეადგენს მაშინ, როდესაც საქართველოს ბუნებრივი და კლიმატური პირობები გვაძლევს საშუალებას ვანარმოოთ მაღალხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. მიზეზი: საქართველოში

ნარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოვლა-მოყვანისა და აღების რთულ და შრომატევად ტექნოლოგიურ ოპერაციებში მაღალი შრომითი დანახარჯები, შესაბამისად მაღალი თვითღირებულება და არაკონკურენტუნარიანი სარეა-



ლიზაციო ფასი. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რომელიც გულისხმობს:

1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოვლა-მოყვანისა და აღების რთული და შრომატევადი ტექნოლოგიური ოპერაციების მექანიზაციას და ავტომატიზაციას, ინოვაციური ენერგორესურსდამოკიდებული ტექნოლოგიების დამუშავებას და დანერგვას;

2. საქართველოს პირობებისათვის აპრობირებული, უხვმოსავლიანი და მაღალპროდუქტიული, დაავადებაგამძლე ჯიშების შემოტანას და წარმოებაში დანერგვას. პარალელურად სათესლე, საჯიშე და სანერგე მეურნეობების ხელშეწყობას და განვითარებას.

3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვის, მისი გადამუშავების ტექნოლოგიების და რეალიზაციის ეფექტური სისტემების დანერგვას. სამაცივრე და სასაწყობე სისტემების გამართვას, წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარკეტინგულ შეფუთვის და სხვა;

4. არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას არსებულ სიტუაციასთან შესაბამისობაში.

ასევე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც მკაფიოდ იქნება განყრტილი იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც საქართველოს,

როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტიორ ქვეყანას გადააქცევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტიორ ქვეყნად. სამწუხაროდ, ასეთი სტრატეგია აღნიშნული სფეროთი დაინტერესებული საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი.

რაც შეეხება მოკლევადიან გეგმებს, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია დარგის მეცნიერებთან და პრაქტიკოს სპეციალისტებთან, დარგობრივ სამინისტროსთან და ყველა

დაინტერესებულ მხარესთან ერთად მოხდეს პრიორიტეტული დარგის (დარგების) განსაზღვრა (ეს შეიძლება იყოს: ერთწლიანი თუ მრავალწლიანი კულტურების წარმოება, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა და ა.შ.), სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული დარგის განვითარების ისტორიული თუ ტრადიციული გამოცდილება, აღნიშნულ სფეროში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოსალოდნელი ან შესაძლო სუბსიდიები როგორც სახელმწიფოს, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ, აღნიშნულ სექტორში კვალიფიციური კადრების არსებობა, შესაძლო რისკები და მათი ანალიზი და სხვა.

როდესაც საუბარია პრიორიტეტული დარგის (დარგების) განსაზღვრაზე, ეს არ გულისხმობს კონკრეტული დარგის, მიმართულების დამოუკიდებელ განვითარებას. სოფლის მეურნეობის, როგორც ერთი მთლიანი ცოცხალი ორგანიზმის ცალკეული მიმართულებების განვითარება, დამოკიდებულია შესაბამისი სხვა დარგების, მიმართულებების განვი-

თარებაზე. ასე მაგალითად, მეფრინველეობის პრიორიტეტულ დარგად განსაზღვრა ნიშნავს: კომბინირებული საკვების წარმოებას, როცა შესაბამისად გაიზრდება მოთხოვნა მარცვლეული კულტურის წარმოებაზე და საჭირო გახდება შესაბამისი აგროინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი რესურსდამოკიდებული ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დანერგვა და სხვა.

შორს ვართ იმ მოსაზრებიდან, რომ ქართველი გლეხი კონსერვატორია, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეისათვის შექმნილია ისეთი სიტუაცია, რომ გლეხური და ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლები იძულებული არიან აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია იმ რაოდენობით, რომლის უმეტეს ნაწილს მოიხმარენ პირადი სარგებლობისათვის, მხოლოდ დარჩენილ უმნიშვნელოდ მცირე ჭარბ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას უკეთებენ რეალიზაციას, ისიც იმ შემთხვევაში, თუ იმ პერიოდისათვის ბაზარზე ხელსაყრელი სარეალიზაციო ფასია; თუ აგრარულ სექტორში დასაქმებულ პირებს ექნებათ იმისი განცდა, რომ მათ მიერ წარმოებული ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არ გაფუჭდება და პირიქით, ისინი შეძლებენ მათ რეალიზაციას ხელსაყრელ ფასად, სწორედაც რომ განხედება მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ახალ ტექნოლოგიებზე, მაღალპროდუქტიულ და უხვმოსავლიან ჯიშებზე, ენერგორესურსდამოკიდებულ სამანქანო ტექნოლოგიებზე და სხვა. სამწუხაროდ, საქართველოში



წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია განიცდის სეზონურობას, განსაკუთრებით ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია; სწორედამც რომ ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით (პირველ ეტაპზე თუნდაც სახელმწიფოს მხრიდან) აუცილებელია შენახვის, გადამუშავების და რეალიზაციის ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა. მაშინ, როდესაც ქართული ბაზარი გაჯერებულია დაბალფასიანი იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, წვრილ გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა გარკვეულწილად დამოკიდებულია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერი, ეფექტური ღონისძიებების გატარებაზე, რომელიც გულისხმობს: საგადასახადო შეღავათებს (სასურველია პირველ ეტაპზე სრული გაუქმება), საჯიშე თუ სათესლე მასალის შექენაში ხელშეწყობას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექენასა და ექსპლუატაციაში შეღავათებს (სანვავ-საცხები მასალები, სათადარიგო ნაწილები და ა.შ.), კადრების კონსულტირებას და საჭიროების შემთხვევაში მათ პროფესიონალურ გადამზადებას, ხელმისაწვდომობას დაბალპროცენტუიან სესხებზე, საჭიროების შემთხვევაში ფიტოსანიტარული კონტროლის გამკაცრებას, სალიზინგო მომსახურების და ეფექტური აგროდაზღვევის შეთავაზებას და, რაც მთავარია, ხელშეწყობას წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციაში.

სახელმწიფოს მხრიდან დაბალპროცენტუიანი აგროსესხების შეთავაზება თავისთავად მისასალმებელი და წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ თვით პროცესის მიმდინარეობას. სახელმწიფოს მხრიდან მოხდა საბიუჯეტო თანხების მობილიზაცია და გადაეცა საბანკო სექტორს პრინციპით: „შენც იხეირე და მეც მახეირე“; სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ იმ ფერმერული მეურნეობების უმეტეს ნაწილს, რომლებიც გამართულად მუშაობდნენ, ქმნიდნენ პროდუქციას და სარგებლობდნენ მაღალპროცენტუიანი საკრედიტო მომსახურებით, უარი ეთქვათ საბანკო სექტორიდან იმ მოტივით, რომ მათ ამ ეტაპზე აქვთ აღებული სესხები (მაღალპროცენტუიანი!!!) და მის გას-

ტუმრებამდე ვერ ისარგებლებენ დაბალპროცენტუიანი აგროსესხებით; ან მათ საკრედიტო ისტორიაში (4-5 წლის წინ) იყო შეფერხებები გადახდასთან დაკავშირებით. ასევე დაფინანსების მოპოვება (რაც არ უნდა კარგი და ინოვაციური იდეაც უნდა ჰქონდეთ) პრაქტიკულად შეუძლებელია დამწყებთათვის. ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია აღნიშნული პროექტის უფრო ეფექტურად განხორციელება: დარგობრივი სამინისტროს მიერ შეიქმნას პარალელური სტრუქტურა, რომელიც უშუალოდ დაბალპროცენტუიან აგროსესხებს გასცემდა და, შესაბამისად, საბანკო სექტორს აღნიშნულ სეგმენტში გაუნევედა ჯანსაღ კონკურენციას, დასაქმებდა ათობით საკრედიტო ექსპერტს და დარგის სპეციალისტს.

რაც შეხება კანონს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ღონისძიებების ხელშეწყობას, როგორებიცაა: შეღავათიანი საკრედიტო რესურსებისა და გრანტის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, საგადასახადო შეღავათების დადგენა, საკონსულტაციო და სარეკომენდაციო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სხვა. დავინყოთ იმით, რომ კოოპერატივი ეს არის კერძო ან იურიდიულ პირთა გაერთიანება. კანონის შესაბამისად, მისი შექმნისათვის საჭიროა სათანადო რეგისტრაცია, რომელიც გარკვეულწილად დაკავშირებულია ბიუროკრატიულ პროცედურებთან და დამატებით ხარჯებთან (საჭირო იქნება იურისტის დაქირავება, კარგ შემთხვევაში კი – მასთან კონსულტირება). არაფერს ვამბობთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: რთული საბუღალტრო აღრიცხვა, საქმიანობის სფეროს შეზღუდვა, ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის რთული საკითხები და ა.შ. კოოპერატივები, წვრილი

გლეხური და ფერმერული მეურნეობებისგან განსხვავებით, ექვემდებარებიან სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ რეგულაციებს. ისმის შეკითხვა: თუ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის იდეა ძირითადად განპირობებულია წვრილი გლეხური და ფერმერული მეურნეობების გაერთიანებით, ე.ი. გამსხვილებისაკენ, რათა უფრო რენტა-



ბელურად და ეფექტურად იყოს გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ხომ არ არის შესაძლებელი აღნიშნულის მიღწევა სხვა ღონისძიებითაც, თუნდაც შეღავათების დაწესება ორ, სამ ან მეტი ჰექტრის ერთდროულად დამუშავებისას და სხვა. ან კიდევ ის ფაქტი, რომ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ისარგებლებენ სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ტიპის მხარდაჭერით, რაც არაკონკურენტულ, უთანაბრო მდგომარეობაში ჩაადგებს სხვა იურიდიულ-სამართლებრივი ტიპის ფერმერულ მეურნეობებს.

და ბოლოს, ვფიქრობ, რომ საკითხისადმი სწორედამც რომ კომპლექსური მიდგომა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გახდეს კონკურენტუნარიანი არა მარტო ადგილობრივ, არამედ მსოფლიო ბაზარზე, თორემ შემოდგომაც გავიდა, კარტოფილიც ხან გაიფადა ან გაძვირდა, მაგრამ მერე რა? რა ქნას მეურნემ?

**ვიტალი დუნდუა,**  
აგროინჟინერიის დოქტორი



## საკვები ელემენტების ბალანსი საქართველოს მიწათმოქმედებაში და მისი რეგულირების გზები

მიწათმოქმედების გარდაუვალი შედეგია ნიადაგიდან საკვები ნივთიერებების გატანა მიღებული მოსავლით და ნიადაგის ორგანული ნივთიერებების გარკვეული ნაწილის დაშლით; ამიტომ, თუკი მოსავლით გატანილი საკვები ელემენტები ისევე არ დაბრუნდა, მცირდება ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების დონე, რასაც აღზილი ჰქონდა არცთუ ისე შორეულ წარსულში.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მინერალური სასუქების გამოყენებით, რომელთა შექმნა კაცობრიობის უდიდესი მიღწევაა. მხოლოდ სასუქების შეტანითაა შესაძლებელი ნივთიერებათა წრებრუნვაში ჩარევა მიწათმოქმედებაში, მოსავლის მკვეთრად გადიდება და ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლება იმაზე მეტად, ვიდრე ნიადაგწარმოქმნის ბუნებრივი პროცესებითაა განპირობებული.

ნივთიერებათა წრებრუნვა მიწათმოქმედებაში იღებს კომპლექსურ შეფასებას და მათემატიკურ გამოსახულებას საკვები ელემენტების ბალანსში.

ბალანსურ ანალიზს დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ აგროქიმიის ფუნქციონირების მიზნები – გერმანიაში, ჟ.ბ.ბუსენგო – საფრანგეთში, ლოიზი – ინგლისში, დ.ნ.პრიანიშნიკოვი – რუსეთში. ი.ლიბიხი თვლიდა, რომ მოსავლის მიერ მოხმარებული ნაცრის ყველა ელემენტი, მიუხედავად ნიადაგის უზრუნველყოფისა, უნდა დაბრუნდეს სასუქის სახით. კ.ა.ტიმირიაზევი მაღალ შეფასებას აძლევდა ი.ლიბიხის შრომას. იგი აღნიშნავდა: „სწავლება დაბრუნების აუცილებლობაზე, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა შეეზღუდათ მისი მნიშვნელობა, წარმოადგენს მეცნიერების ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს“.

ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ბალანსური გაანგარიშება ეკუთვნის ჯონსტონსა და კამერონს ინგლისისთვის 1874 წელს. ეს იყო თანამედროვე გამოკვლევებისთვის საყრდენი არაჩვეულებრივი გარესამეურნეო ბალანსი. ავტორებმა დაასკვნეს, რომ ინგლისის ნიადაგები თესლით, სასუქებითა და საკვები საშუალებებით მეტ ფოსფორს ღებულობდა, ვიდრე იგი სასაქონლო პროდუქციით გაიტენებოდა. მას შემდეგ ასოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ინგლისში არსებობს ფოსფორის დადებითი ბალანსი, რაც უზრუნველყოფს მოსავლის სისტემატურ ამაღლებას.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული არაერთხელ გამოქვეყნდა აზოტის, ფოსფორის და კალიუმის ბალანსი ყოფილი საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედებაში. სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოანგარიშებული იქნა ბალანსი.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული არაერთხელ გამოქვეყნდა აზოტის, ფოსფორის და კალიუმის ბალანსი ყოფილი საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედებაში. სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოანგარიშებული იქნა ბალანსი.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული არაერთხელ გამოქვეყნდა აზოტის, ფოსფორის და კალიუმის ბალანსი ყოფილი საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედებაში. სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოანგარიშებული იქნა ბალანსი.

ცხრილი 1.

აზოტის, ფოსფორის და კალიუმის ბალანსი საქართველოს მიწათმოქმედებაში (საშუალო წლიური)

წლები	ბალანსური გაანგარიშება	გატანა			შემოტანა			ბალანსი (+, -)					
		N	P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	K <sub>2</sub> O	N	P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	K <sub>2</sub> O	N	P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	K <sub>2</sub> O	N	P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	K <sub>2</sub> O
		ათასი ც.			ათასი ც.			ათასი ც.			კგ/ჰა		
1971-1975	საერთო	735,0	314,0	1056,0	926,0	351,0	231,0	+191,0	+37,0	-825,0	+14,0	+3,0	-53,0
	ეფექტური	734,7	314,3	1055,8	427,5	70,7	173,7	-307,2	-243,6	-882,1	-22,1	-17,5	-63,5
1976-1980	საერთო	845,4	352,0	1157,3	1119,4	455,6	325,0	+274,0	+103,6	-832,3	+20,0	+7,6	-60,8
	ეფექტური	845,4	352,0	1157,3	515,7	90,8	243,5	-329,7	-261,1	-913,8	-24,1	-19,1	-66,7
1981-1985	საერთო	890,8	339,3	1104,7	1260,8	511,1	358,3	+370,0	+171,8	-746,4	+25,6	+11,9	-51,7
	ეფექტური	890,8	339,3	1104,7	552,2	103,3	270,1	-338,6	-236,0	-834,6	-14,2	-16,3	-57,8
1986-1990	საერთო	881,0	335,0	1105,0	1262,0	514,0	359,0	+381,0	+179,0	-746,0	+26,0	+12,0	-51,0
	ეფექტური	880,5	335,0	1102,5	567,9	108,7	270,3	-312,6	-231,3	-832,2	-14,0	-15,8	-56,2
1995-1999	საერთო	N+P <sub>2</sub> O <sub>5</sub> +K <sub>2</sub> O 900			N+P <sub>2</sub> O <sub>5</sub> +K <sub>2</sub> O 75			N+P <sub>2</sub> O <sub>5</sub> +K <sub>2</sub> O -825			N+P <sub>2</sub> O <sub>5</sub> +K <sub>2</sub> O -103		
2008-2012	საერთო	N+P <sub>2</sub> O <sub>5</sub> +K <sub>2</sub> O 467			N+P <sub>2</sub> O <sub>5</sub> +K <sub>2</sub> O 231			N+P <sub>2</sub> O <sub>5</sub> +K <sub>2</sub> O -236			N+P <sub>2</sub> O <sub>5</sub> +K <sub>2</sub> O -59,0		

1971-1990 წ.წ.; მთლიან მოსავალში -N:P<sub>2</sub>O<sub>5</sub>:K<sub>2</sub>O=1:0,5:1,2; მინერალურ სასუქებში -N:P<sub>2</sub>O<sub>5</sub>:K<sub>2</sub>O=1:0,45:0,31; 1995-2012 წ.წ.; N : (P<sub>2</sub>O<sub>5</sub>+K<sub>2</sub>O) = 1:0,2;

ლანსი რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის და სხვა რესპუბლიკებში.

საკვები ელემენტების ბალანსის პრობლემაზე დიდი მუშაობა ჩატარდა საქართველოში ცნობილი მეცნიერების შ.ჭანიშვილის, ი.სარიშვილის, ა.მენაღარიშვილის, ი.ნაკაიძის, მ.ბზიავას, ო.ზარდალიშვილის, ო.ონიანის, ვ.ცანავას და სხვ. მიერ.

საკვები ელემენტების ბალანსს საქართველოს მინათმოქმედებაში ვსწავლობდით გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. ბალანსური გაანგარიშებების დამაჯერებლობის ხარისხი განისაზღვრება მისი შემოსავლისა და გასავლის სტატიების აღრიცხვის სიზუსტით. 70-80-იან წლებში ჩატარებული 650-ზე მეტი მინდვრის ცდის შედეგების განზოგადების საფუძველზე დადგინდა იქნა საკვები ელემენტების გამოტანა სხვადასხვა კულტურის მოსავლით და შეტანილი სასუქებიდან საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტები, რომელიც გამოვიყენეთ ბალანსურ გაანგარიშებებში. მონაცემები ს/ს კულტურების საშუალო საჰექტარო მოსავლიანობაზე, მთლიან მოსავალსა და ნათეს ფართობებზე, აგრეთვე შეტანილი მინერალური და ორგანული სასუქების რაოდენობაზე აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური პუბლიკაციებიდან (თბილისი, 1975 - 2012 წწ.).

ბალანსური გაანგარიშება განსაკუთრებით ძვირფასია, როცა ის დგება დინამიკაში, რიგი წლების განმავლობაში, რადგან ერთწლიანი მონაცემები სრულად ვერ ასახავს ბალანსის საერთო მდგომარეობას.

საკვები ელემენტების ბალანსი საქართველოს მინათმოქმედებაში გამოანგარიშებული იქნა ორი ვარიანტით: შეტანილი სასუქებიდან საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტის გათვალისწინებით ე.წ. „ეფექტური“ ბალანსი და მის გარეშე ე.წ. „საერთო“ ბალანსი. ბალანსი საქართველოს მინათმოქმედებაში გამოანგარიშებული იყო ოთხი-ხუთი წლის ინტერვალით – 1971-1975, 1976-1980, 1981-1985, 1986-1990, 1995-1999 და 2008-2012 წლებში (ცხრილი 1). როგორც ცხრილიდან ჩანს, 1971 წლიდან 1990 წლის ჩათვლით, 20 წლიანი პერიოდის განმავლობაში, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მინერალური სასუქების რაოდენობა ყო-

ველწლიურად იზრდებოდა, რამაც განაპირობა ს/ს კულტურების მოსავლიანობის ამაღლება და საკვები ელემენტების ბალანსის გაუმჯობესება. 1971-1990 წლების საშუალო მონაცემებით შეფარდება –  $N:P_2O_5:K_2O$  მთლიან მოსავალში შეადგენდა – 1:0,5:1,2; მინერალური სასუქები კი კულტურების ქვეშ შეტანილი იყო შეფარდებით 1:0,45: 0,31 ( $N:P_2O_5:K_2O$ ); აზოტს, ფოსფორსა და კალიუმს შორის არსებულ ასეთ არახელსაყრელ შეფარდებას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა აღნიშნული ელემენტების ბალანსზე ქვეყნის მინათმოქმედებაში.

პირველი ცხრილიდან ჩანს, რომ 1971-1975 წლებში, საშუალოდ წელიწადში, ნიადაგში შეტანილი იყო 926 ათასი ცენტნერი აზოტი, 351 ათასი ც. ფოსფორი და 231 ათასი ც. კალიუმი. შესაბამისად გამოტანილი იყო – 735; 314 და 1056 ათასი ცენტნერი. ასეთ პირობებში აღინიშნა აზოტის და ფოსფორის დადებითი საერთო ბალანსი, რამაც შესაბამისად შეადგინა +14,0 და +3,0 კგ ჰექტარზე; დეფიციტი აღინიშნა მხოლოდ კალიუმის შემთხვევაში: -53,0 კგ/ჰა (78%); შემდგომ წლებში საკვები ელემენტების ბალანსი ყოველწლიურად უმჯობესდებოდა. 1986-1990 წლებში საშუალოდ წელიწადში ნიადაგში შეტანილი იყო 1262 ათასი ც. აზოტი, 514 ათასი ც. ფოსფორი და 359 ათასი ც. კალიუმი; გამოტანილი იყო 881 ათასი ც. აზოტი, 335 ათასი ც. ფოსფორი და 1105 ათასი ც. კალიუმი. ასეთ პირობებში აზოტის დადებითმა საერთო ბალანსმა შეადგინა +26,0, ხოლო ფოსფორის +12,0 კგ/ჰა; მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგში შეტანილი კალიუმის სასუქების რაოდენობა გაიზარდა, აღინიშნა ასევე ნიადაგიდან გამოტანილი კალიუმის რაოდენობის გაზრდაც. სხვაობამ შეადგინა – 51 კგ/ჰა; როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, 20 წლის განმავლობაში აღინიშნებოდა კალიუმის ქრონიკული დეფიციტი.

თუკი მხედველობაში მივიღებთ შეტანილი მინერალური და ორგანული სასუქებიდან (ძირითადად ნაკელიდან) აზოტის, ფოსფორის და კალიუმის გამოყენების კოეფიციენტებს, აღნიშნული საკვები ელემენტების დეფიციტი ჩვენი ქვეყნის მინათმოქმედებაში კიდევ უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდება. როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს აზოტის, ფოსფორის და კალიუმის „ეფექტური“ ბალანსი სასოფლო-სა-

მეურნეო სავარგულების მთლიანი ფართობისთვის დაკვირვების ყველაწელს უარყოფითია.

განსაკუთრებით საინტერესო იყო საკვები ელემენტების ბალანსის გამოანგარიშება საქართველოს მინათმოქმედებაში ბოლო 15-20 წლის განმავლობაში. აღნიშნულ პერიოდში სასუქების გამოყენება საქართველოს მინათმოქმედებაში კატასტროფულად შემცირდა. 1995-1999 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად ნიადაგში შეტანილი იყო 75 ათასი ცენტნერი აზოტი+ფოსფორი+კალიუმი; მოსავლით გამოტანილი იყო 900 ათასი ცენტნერი ( $N+P+K$ ); სამივე საკვები ელემენტის დეფიციტმა შეადგინა – 825 ათასი ცენტნერი, ანუ -103 კგ/ჰექტარზე.

2008-2012 წლებში გამოყენებული სასუქების რაოდენობის გაზრდასთან ერთად გაუმჯობესდა ბალანსის მაჩვენებლები. ნიადაგში შეტანილი იყო 231 ათასი ც. სასუქი; გამოტანილი იყო 467 ათასი ც.; სამივე საკვები ელემენტის დეფიციტმა მთელ ფართობზე შეადგინა – 236 ათასი ცენტნერი, ხოლო 1 ჰექტარ ფართობზე – 59 კგ.; სასუქები ს/ს კულტურების ქვეშ შეტანილი იყო ძალზე არახელსაყრელი შეფარდებით –  $N:(P_2O_5+K_2O)=1:0,2$ ; მაშინ, როცა საქართველოში სასუქების გამოყენების შესახებ არსებული რეკომენდაციების მიხედვით შეფარდება  $N:P_2O_5:K_2O$  საშუალოდ უნდა შეადგენდეს 1:1:1;

მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენება საქართველოში ძალზე დაბალია (ორგანული სასუქების გამოყენება ბოლო 20 წლის განმავლობაში შემცირდა 100-ჯერ; მინერალური სასუქების – 13-ჯერ), რაც უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერებაზე. როგორც მეორე ცხრილიდან ჩანს, ს/ს კულტურების მოსავლით გამოტანილი საკვები ნივთიერებების ( $N+P_2O_5+K_2O$ ) 8%-ის ანაზღაურება ხდება ორგანული სასუქების ხარჯზე, 28%-ის – მინერალური სასუქების ხარჯზე, ხოლო 64% გამოიყენება ნიადაგის მარაგების ხარჯზე, რაც ნიადაგის გაღარიბებას და გამოფიტვას იწვევს.

ისმება კითხვა: შეიძლება თუ არა შევეგუოთ საკვები ელემენტების ასეთ დეფიციტს? პასუხი აღნიშნულ შეკითხვაზე დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ნიადაგური საფარის ამჟამინდელ მდგომარეობასთან. ს/ს სა-

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლით გამოტანილი საკვები ნივთიერებების (N+P<sub>2</sub>O<sub>5</sub>+K<sub>2</sub>O) ჯამი და მისი ანაზღაურება მინერალური და ორგანული სასუქებით.

წელი	მოსავლით გამოტანილი, ათასი ც.	სასუქებით შეტანილი, ათასი ც.		გამოტანის ანაზღაურება, საშუალოდ %-ში		
		ორგანული	მინერალური	ორგანული სასუქების ხარჯზე	მინერალური სასუქების ხარჯზე	ნიადაგის მარაგების ხარჯზე
1995	781	0,9	6,0	0,1	0,77	99,13
1999	1012	2,7	141	0,3	13,9	85,8
2008	541	52	178	9,6	32,9	57,5
2009	427	52	201	12,2	47,1	40,7
2011	468	52	152	11,1	32,5	56,4
2012	430	52	186	12,1	43,2	44,7
1995-2012 წლების საშუალო	610	35,3	144	8,0	28,0	64,0

ვარგულების დაახლოებით 60-65% ხასიათდება გაცვლითი კალიუმის დაბალი შემცველობით, ხოლო 70-80% უკიდურესად ღარიბია მოძრავი ფოსფატებით. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ქვეყნის ყველა რეგიონში შეინიშნება ნიადაგის ნაყოფიერების უმთავრესი მაჩვენებლის – ჰუმუსის მწვავე დეფიციტი და მისი ბალანსი უარყოფითია. პრაქტიკულად არ ხდება ნიადაგის ნაყოფიერების მონიტორინგი.

სწორედ ამიტომ იმატა ქვეყანაში დაუმუშავებელმა მიწის ფართობებმა და შესაბამისად იკლო ნათესმა ფართობებმა. მაგალითად, 2002 წელს სახნავი ფართობი 795,3 ათასი ჰექტარი იყო. ამ წელს ნათესმა ფართობმა შეადგინა 577 ათასი ჰა, ხოლო დაუმუშავებელმა – 218,3 ათასი ჰექტარი.

რე. შემდგომ წლებში იკლო ნათესმა ფართობებმა და 2012 წელს შეადგინა მხოლოდ 259,6 ათასი ჰა, დაუმუშავებელი ფართობები კი გაიზარდა 538 ათას ჰექტრამდე.

საქართველოს მინათმოქმედებაში კალიუმის ქრონიკული დეფიციტი ერთ-ერთი მიზეზია აზოტიანი და ფოსფორიანი სასუქების დაბალი ეფექტურობისა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე სასუქის აზოტის დანაკარგის გადიდება და მათი მიზეზით წყალსაცავების, მდინარეების და ჭებების დაბინძურება.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მთლიანი მოსავლისა და საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის გადიდებისთვის, აგრეთვე სასუქების ეფექტურობის ამაღლებისთვის აუცილებელია საკვები ნივთიერებ-

ბის დეფიციტის აღმოფხვრა და მათი შეფარდების ოპტიმიზაცია, რაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად ამაღლდეს მათი ეფექტურობა.

საქართველოს მინათმოქმედებაში საკვები ელემენტების ბალანსის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ბალანსური გაანგარიშებების საფუძველზე გადიდდეს სოფლის მეურნეობისადმი მინერალური და ორგანული სასუქების ყოველწლიური მიწოდება.

აუცილებელია სასუქების გამოყენების რეკომენდაციების მკაცრი დაცვა. სასუქების ოპტიმალური დოზების, შეფარდებისა და შეტანის ვადების დაუცველობა არა მარტო ამცირებს მათ ეფექტურობას, არამედ ქმნის აგრეთვე გარემო არის დაბინძურების საშიშროებას.

მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი ნიადაგის აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის დანაკარგი ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების მთელი კომპლექსის გატარებით დამორწყვის ტექნიკის გაუმჯობესებით. უნდა გაიზარდოს „ბიოლოგიური“ აზოტის შემოსავალი პარკოსანი კულტურების მოსავლიანობის ამაღლების გზით; ამაღლდეს ნაკელის რაოდენობა და ხარისხი პირუტყვის ბაგური პერიოდის გახანგრძლივებით და ნაკელის შენახვის წესების გაუმჯობესებით.

**გიორგი მარბვილაშვილი,**  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**კანონმდებელი**

**ნიადაგის დაცვის მიზნით სასუქებისა და უხამქიმიკატების გამოყენების წესები მოწესრიგდება**

**აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტმა მიწათსარგებლოების წესების რეგულირების შესახებ კანონი მიიღო. ამით ნაყოფიერი მიწების გაუდაზნოება თავიდან იქნება აცილებული.**

ამის შესახებ აგულაშვილმა გუდაურში რესპუბლიკური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების თავმჯდომარეთა წინაშე გამოსვლისას ისაუბრა. შეკრებას რესპუბლიკელთა პარტნიორები – ჰოლანდიის მმართველი პარტიის VVD-ის – წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მიწის საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისიის ინიციატივით და აგრარულ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიზღუდება ისეთი სასუქებისა და

უხამქიმიკატების გამოყენება, რომელიც ნიადაგის ნაყოფიერ ფენას აზიანებს, ფიტავს და ზოგჯერ აბსოლუტურად გამოუყენებელს ხდის მათ.

გიგლა აგულაშვილმა განმარტა, რომ ასეთი წესების შემოღების მიზანი ფერმერთა საქმიანობის შეზღუდვა არაა. ხელისუფლების ამოცანა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ზრუნვაა, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ცოდნის გაღრმავებითა და შრომის რენტაბელობის ამაღლებით განხორციელდება.


„ჩვენ ვალდებულნი ვართ გავუფრთხილდეთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, რადგან მსოფლიოში არაერთი შემთხვევა მოხდა, როცა ნაყოფიერი მიწები გაუდაზნოვდა“, თქვა აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ.

აღნიშნული წიგნი 119 წლის მანძილზე ერთხელაც არ გადაუშლია არავის — ფურცლები ბასაჭრელია. არადა, შესაძლოა, სანინტირემო ინფორმაციის შემცველი იყოს მათთვის, ვინც დაინტერესებულია ხილის ღვინოების დაზოგავით.

წიგნში სრულადაა დაცული ავტორისა და გამომცემის სტილი და გრაფიკა.

# ხილელის ღვინო

## ხილელის ღვინის კითხვა შედეგ მოაქვსიხად განიყოფა



### პირველი ოპერაცია

რა ნაყოფიც უნდა იყოს — ბალი, ალუბალი, მჟოლი, მაცვალი, ბია, ვაშლი მსხალი, ქლიავი, შვინდი, ალუჩა და სხვა პირველად უნდა გაირჩეს კარგი მნიფე და დაუჭიანებელი, სუფთად გაირეცხოს, თუ ჭუჭყიანია და, როგორც ყურძენი, ისე დაიჭყლიტოს. თუ ღვინოს ბიისას, ვაშლისას ან მსხლისას აკეთებენ, ჯერ უნდა დაიჭრას და მერე რამე ჭურჭელში დაიჭყლიტოს (თუნდა გობში). ფაფათ ნაქცევ ხილს ერთ დღეს ან დღე ნახევარს იმავე ჭურჭელში სტოვებენ. ამ დროს ეს ფაფა უფრო და უფრო რბილდება და გამონჭურვის დროს წმინდა წვენს უფრო ბლომად იძლევა; რომ უფრო კარგად დარბილდეს — დაჭყლეტილ ხილს ცოტაოდენ წყალს უმატებენ, მხოლოდ ამ წყლის ზომას (და არა წონას) იქონიებენ სახეში შემდეგობა.

### მეორე ოპერაცია

მეორე ოპერაცია იმაში მდგომარეობს, რომ ამ ფაფას კარგად სწურავენ. გამოსაწურად სხვა და სხვა ნაირ საქაჩავებს ხმარობენ, ხოლო შეიძლება სულ უბრალო შინ გაკეთებულ საქაჩავით (ორი ან სამი ვედრიანი კათხითაც იოლად წავიდეს კაცი). კათხის ძირში შუა ადგილში ან პირში სადმე ხვრეტენ წვენის გასაველად. დაჭყლეტილ ხილს ტილოს ტომარაში ასხამენ. ეს ტომარა სივრცით 3/4 (12 ვერშოკია) და სიგანით ექვსი ვერშოკია. ვიდრე ჩაასხამდნენ — პარკი (ტომარა) უთუოდ წყალში უნდა დაასველონ და გასწურონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მშრალი ტილო ბევრ წვენს

შეინოვს. პარკში ნაკლებად უნდა ჩაასხან, თორემ სავსეში შეიძლება ვერ გაუძლოს საქაჩავის ძლიერ მოჭერას და გასკდეს, ესეც რომ არ იქნეს — ამ შემთხვევაში წვენიც ვერ გამოვა რიგინად. პარკს ძლიერად უნდა მოეკრას პირი და ბოჭკის პირზე ან სხვა საქაჩავის გრილად უნდა დაიდოს, ხვრელის გარშემო, ისე, რომ ხვრელი არ დაეფაროს, მერე ზედ კათხის შუა გულს სირგვლიდ ამოჭრის ხუფი დაეფაროს და ზედ ქვეები დაიწყოს, ჯერ ცოტა, და მერე თან-და-თან მიუმატოთ სიმძიმე. კათხა ორ პატარა სკამზე უნდა დაიდვას და ქვეშ რამე ჭურჭელი დაედვას წვენის ჩასადენად. როცა წვენის დენა შეწყდება, პარკს იღებენ ბოჭკიდან, ჩენჩოს ხელით ჰხელენ, მანამ შელბებოდეს, და იმავე რიგად ხელ მეორედ სწურავენ. კათხის გარდა დაწურვა შეიძლება ფიცრებითაც. ორ ფიცარ შუა ქახრაკი ამოყრილია, რომლის მოწვეით ზედა ფიცრის დაბლა დაწვეა შეიძლება. ფიცარსა და ფიცარს შუა გაჭყლეტილი ხილით სავსე პარკსა სდებენ და ქახრაკის მოჭერით სწურავენ, ქვედა ფიცარს ქვეშ აგრეთვე ტაშტი სდგას და გამოსული წვენი ფიცარში გაკეთებულ ხვრელით ტაშტში ჩადის.

### მესამე ოპერაცია

ყველა ოპერაციებზე უფრო ძნელი მესამე ოპერაცია არის და ამიტომაც განსაკუთრებით ყურადღებას თხოვლობს. როცა წვენი სულ გამონჭურულია — ზომავენ თუ რამდენი ბოთლი გამოვიდა ან რამდენი ჭიქა. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვაკეთებთ ქვიშის ღვინოს და დაჭყლეტის დროზე

მიუმატეთ ხუთი ჭიქა წყალი. შემდეგ გამონჭურვისა მივიღეთ 25 ჭიქა, ამას რომ გამოვაკლოთ ხუთი ჭიქა უნდა მიმატებული წყალი — მივიღებთ ოც ჭიქას, მაშ წმინდა წვენი ყოფილა 20 ჭიქა. ამ ოც ჭიქა წმინდა წვენს უნდა მიუმატოთ ზომით ორჯერ მეტი წმინდა წყალი. ე.ი. ორმოცი ჭიქა. წმინდა წვენი და წმინდა წყალი უნდა იქონიონ ცალ ცალკე ჭურჭელში. წყალს გარდა წმინდა წვენს უნდა მიუმატონ კიდევ შაქარი, რადგანაც ხილში იმდენი შაქარი არ იპყრობება, რამდენიც ღვინოში ალკოჰოლის ე.ი. სპირტის შესადგენად არის საჭირო. სიმაგრი-სათვის ალკოჰოლი ხილის ღვინოში უნდა იყოს 12<sup>0</sup>-14<sup>0</sup>, ამდენი სპირტი მაშინ იქნება, თუ ხილში 33<sup>0</sup> შაქარი არის. ამდენი შაქარი მაშინ იქნება წვენში, როცა მას ე. ი. წმინდა წვენს იმდენ შაქარს მიუმატებთ, რამდენიც წმინდა წვენია წონით. ვთქვათ ოცი ჭიქა წმინდა წვენის წონა 18 გირვანქას, მაშ შაქარიც უნდა მიუმატოთ 18 გირვანქა. ეს შაქარი უნდა ჩაიყაროს მისამატებელ წყალში; როცა შაქარი გაიხსნება — შაქრიან წყალს სწურავენ რამე ტილოში ან სქელ საცერში, წვენსაც სწურავენ და შემდეგ ერთმანეთს უმატებენ. რადგანაც თბილ წყალში შაქარი უკეთ დნება, ვიდრე ცივში, უმჯობესია წყალი ჯერ გავათბოთ და შემდეგ გავშალოთ შიგ შაქარი. თუ საჭიროება თხოვლობს, წვენს რამდენსამე ღვინის მარილს უმატებენ, რადგანაც ზოგიერთ ხილში საკმარისი მოხსენებული მარილი არ არის, რიგით უნდა იყოს 0,5-0,6<sup>0</sup>. თუ ხილში მაგალითად 0,3<sup>0</sup> მარილი არის, კიდევ უნდა მიემატოს 0,2-0,3.

**ამოთხე მარაგები**

როცა წმინდა წვენი და ვაჟინი (მარცხენა-წყალი) შეერთებულია და განურულია – მაშინ ჭურჭელში ასხამენ, თუ ღვინო ბლომად არის, ჭურჭლებად ბოჭკებს ხმარობენ, თუ არა და დიდ ან შესაფერ დიდ ბოთლებს. ერთ დღეს ღვინიანი ბოთლი დაუცემელი უნდა იყოს, ხოლო ქალაქადი ან ფოთოლით დაფარებული, რომ ღვინოში ჰაერიდან ბლომად ჩავიდეს ბაქტერია, რომლის უმისოდ არავითარი ღვინო არა დულს.

ერთს დღეს შემდეგ ჭურჭელი კარგად უნდა დაიხუროს, რომ ჰაერს შესვლა აღარ შეეძლოს. პროპკას შუაში გახვრეტილი უნდა ჰქონდეს შუშის მილის ჩასასმელად, რომლის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ჭურჭლიდან გადმოვიდეს ღვინის დუღილის დროს მავნე წვლილი. შუშის მილი მოლუნული უნდა იყოს ისე, რომ ერთი მხარე უგრძელი იყოს მეორეზე. ეს მოკლე ჩადის პროპკის გახვრეტილში, ხოლო გრძელი – რამე წელიწადი ჭურჭელში, რომელიც მიკრულია მილთან. ღვინის ჭურჭლის დახურვა მარტო პროპკით არა კმარა – ჰაერი ადვილად ჩავა ჭურჭელში. ამისათვის მოუცილებელი საჭიროა პროპკა ფისით, თავლის სამთლით ან ლუქით დაიბეჭდოს. ჭურჭელი მთლად არ უნდა აივსოს ღვინით, რადგან ღვინოში შეგროვილ წვლილებს ადგილის უქონლობით ადვილად შეუძლია ბოთლი, ან თუ ბოჭკაშია – ბოჭკაც გახეთქოს. თუ ღვინო ბოჭკაშია – ამას უნდა დააკლონ 1-2 ბოთლი ღვინო, ხოლო თუ ბოთლშია – 3-4 თითის დადება უნდა დააკლონ. საცობში ჩარჭმული შუშის მილი ღვინოს არ უნდა ეკარებოდეს, ხოლო მისი ბოლო უთუოდ წყალში უნდა იყოს ჩაშვებული. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ შუშის ღვინიდან ბოთლში ჰაერი არ ჩავიდეს. როცა ამ ნაირად „სადულ აპპარატს“ გაუკეთებენ – ორ-სამ დღეს შიგნით ან უფრო ადრე ჭურჭლიდან წვლილი (გაზები) დაიწყებს ამოსვლას და ეს იმით შეეცემა, რომ წყალში პატარ-პატარა ბუშტები გამოჩნდება, პირველად ეს ბუშტები წამში 4-5 ადის, შემდეგ თან და თან მატულობს და 170-180-დისაცა ადის. ერთ თვის შემდეგ ღვინო იწმინდება და თხლეს იღექავს.

იმ სადგურში, სადაც ღვინის ჭურჭელი დგას სითბო 18<sup>0</sup>-ზე ნაკლები არ უნდა იქნეს. ჰაერი თანაბარი უნდა იყოს და მალ-მალ არ იცვლებოდეს,

თორემ ღვინისთვის მავნეებელია. ეს კანონი ეკუთვნის ყურძნის ღვინოსას.

**მეხუთე მარაგები**

როცა დუღილი გათავდება ე.ი. 3-4 კვირის შემდეგ ღვინოს გადასხმა უნდა რამე ჭურჭელში, თხლე გადასხმან, ღვინონადგომი ჭურჭელი სუფთათ გარეცხონ და ღვინო ისე იმაშივე ჩაასხან. ღვინის გადასხმა თხლედან შეიძლება ხელითაც, მაგრამ უმჯობესია იხმარონ სიფონი. სიფონი წარმოადგენს 5-6 ვერშოკიან მილს (შუშისას) და ორივე ბოლოებზედ გუტტაპერჩის (რეზინის) მილი აქვს გაკეთებული, ერთი მეორეზე გრძელი. უგრძელი



იმათგანი ჭურჭელში უნდა ჩავსვას, ხოლო მოკლე იმ ჭურჭელში, რაშიაც ასხამენ. როცა გრძელ მილს ჩაუშვებენ ღვინოში, მოკლეთგან პირით ჰაერი უნდა გამოსწოვონ და რა კი ჰაერი სულ გამოვა სიფონიდან, იგი ღვინით აივსება და მაშინ მოკლე ნაწილი ცარიელ ჭურჭელში უნდა ჩავიდეს და ვიდრე საჭიროება მოითხოვს ღვინო თავისთავად იდენს ჭურჭელში. ამ გადაღებაში ყურადღება უნდა იქონიონ, რომ სიფონის ბოლო თხლეს არ ეკარებოდეს. როცა ღვინოს უკანვე გადაასხამენ – ჭურჭელი ხელ მეორედ უნდა დაბეჭდონ, რომ ჰაერი არ ჩავიდეს. რამოდენიმე დღის შემდეგ ღვინო იწყებს სუსტ დუღილს, თუ რომ სამ-ოთხ კვირის შემდეგ ღვინოში დალექილი თხლე შეამჩნიეს – მაშინ ხელ მეორედ უნდა გადიღონ ღვინო, გარეცხილ იმავე ჭურჭელში ჩაასხან, დაბეჭდონ. რამოდენიმე დღის შემდეგ დუღილი სულ გათავდება, ე.ი. წვლიდან ბუშტები არ ამოდის. ესეც უნდა გადასხმან ღვინო ბოთლებში, ხოლო უნდა დააკლონ 1-2 თითის დადება. მაგრად უნდა დაუცვან და ლაქით, ფისით ანუ ცვილით უნდა დაბეჭდონ. თუ მაინცა და მაინც საჭირო იქნა, ღვინის სმა შეიძლება ბოთლებში ჩასხმის დროზე, ხოლო უმჯობესია

ხუთ-ექვს თვეს შეინახვენ. რამდენჯერ უძველესია ზოგიერთი ნაყოფის ღვინო – იმდენი უკეთესია. ბოთლებში ჩასხმული ღვინო უნდა შეინახონ სადმე ცივ ადგილზე.

ესეც მოვიყვან რამოდენიმე ნიმუშს იმის საჩვენებლად, თუ რა ადვილია ნაყოფების ღვინის კეთება.

**I**

16 ივნისს 1887 წელს 10 გირვანქა მარწყვისაგან (Ananas perpertuel) გამოვწურე ორი მთელი და სამი მეოთხედი ლიტრი წმინდა წვენი; მიუმატე ორ ჯერ მეტი წყალი; ე.ი. 5,5 ლიტრი; შაქარი 6 გირვანქა და 58 ზოლოტნიკი; ღვინის მარილი – 4 მისხალი და 2 დანგი. ამ ნაირად მასალა:

- მარწყვი – 10 გირვანქა
- მივიღე წვენი – 2,75 ლიტრი
- შაქარი – 6 გირ. და 58 ზოლოტნიკი;
- ღვინის მარილი – 4 მისხ. და 2 დანგი

ბოთლში ჩავასხი 17 ივნისს. მივიღე 8 ბოთლი კარგი ღვინო. ბოთლი გაიციდა 60 კ., სულ 4 P. 80 K.

**II**

24 ივნისს 1887 წ. 45 გირვანქა თეთრი მყოლი გამოვწურე და 9,8 ლიტრი წმინდა წვენი მივიღე; ამას მიუმატე ორჯერ მეტი წყალი ე.ი. 19,6 ლიტრი; 23,5 გირვანქა შაქარი და 3,4 მისხალი ღვინის მარილი. ასე შეზავებული 24 ივნისს ჩავასხი ბოთლებში, გაუკეთე სადულელებელი აპარატი. გადაღებაში ისე მოვიქეცე, როგორც დარიგებაშია და ბოლო სულ 36 ბოთლი ღვინო დამიდგა, რომელიც სასმელად გაიციდა 1887 წ.

- მასალა:
- მყოლი – 45 გირვანქა,
- წმინდა წვენი – 9,8 ლიტრი,
- მიუმატე წყალი – 19,6 ლიტრი,
- ღვინის მარილი – 3,4 მისხალი
- შაქარი – 23,5 გირვანქა.
- გაიციდა ბოთლი 35 კ. სულ 12 მ. 60კ

**III**

**ღვინო წითელი მოცხარისა**  
 ნაყოფი იყო – 54 გირვანქა  
 წმინდა წვენი მივიღე – 13 ლიტრი  
 წყალი მიუმატე – 35 ლიტრი (26ლ. მაგიერ)  
 შაქარი – 38,5 გირვანქა  
 სადულელებლად ჩავასხი 7 ივლისს. პირველად თხლეს მოვაშორე (ავიღე) 16 სექტემბერს, მეორე ჯერ 20 ნოემ-



ბერს და ჩავასხი ბოთლებში. სულ შეიქნა 63 ბოთლი. ფასი ბოთლისა 40 კ. სულ ღირებული 25 მ. და 20 კ.

**IV ქლიავის ღვინო**

ორი ვედრა ნაყოფი გამოვიდა წმინდა წვენი – 8 ლიტრი წყალი მიუმატე ნახევარი ე.ი. 4 ლიტრი შაქარი – 18 გირვანქა მივიღე 17 ბოთლი ღვინო ღირებული 4 მანეთი და 25 კ.

**V მავშალის ღვინო**

ნაყოფი იყო – 39 გირვანქა წვენი გამოვიდა – 11 ლიტრი წყალი მიუმატე – 22 ლიტრი შაქარი – 26,5 გირვანქა ღვინის მარილი – 2,1 ზოლოტნიკი

ჩავასხი ბოთლში სადუღებლად 2 აგვისტოს. მივიღე ღვინო 50 ბოთლი ღირებული 20 მანეთი.

**VI შვინდის (კიზილს) ღვინო**

წმინდა წვენი – 3,5 ლიტრი წყალი მიუმატე – 7 ლიტრი შაქარი – 9 გირვანქა მივიღე 11 ბოთლი ღირებული 4 მ. 84 კ.

კიდევ მოვიყვანდი რამოდენიმე ნიმუშს, მაგრამ დარიგებასთან მოყვანილი ნიმუშიც საკმარისია, რომ ამ ნაირად გაკეთდეს ღვინოები სხვა ხი-



ლეულისაგან. 1887-1893 წლებში გავაკეთე 40 სხვა და სხვა ნაყოფის ღვინო და შევატყე შემდეგი. ა) არავითარი ხეხილის ღვინო არ არის აგებულებიზა მანყინარი, რომელს ამტკიცებენ ამერიკა, საფრანგეთი და გერმანიაც.

ბ) უპირველესს თვისებას შეადგენენ ღვინოები: ბალისა, ალუბალისა, ნითელი მოცხარისა, შავი მოცხარის, მაყვალისა,

გ) დარე ღვინოებს აძლევს: ვაშლი, მსხალი, ქლიავი

დ) საშვალოს – რბილ ღვინოს – მყოლი, თუმცაღა შეიძლება ადვილად მისი გამაგრებაც, რიგიანად შაქრის და ღვინის მარილის მიმატებით.

თუმცაღა დარიგება თხოულობს ერთ წილ წვენს მიემატოს ორი წილი წყალი, მაგრამ, თუ წმინდა წვენი ბუნებით სქელია, ტკბილია – შეიძლება მიუმატონ ორ ნახევარი ნაწილი 1 წილ წვენს, 1-2 გირვანქა ნაკლები შაქარიც აიღონ.

შენიშვნა: ღვინის მარილის შოვნა შეიძლება აფთეკებში და მეწვრილმანებშიაც. მოხრილი შუშის გაკეთება შინაც შეიძლება ლამპარზე. ვისაც ცოდვილობა ეზარება, აფთიაკშიდაც ადვილად გააკეთებენ რამდენიც უნდათ, წყლისა და წვენის ზომა მუდამ ერთი უნდა იქონიონ, მაგ. ბოთლი ღვინოების კეთების დროს უთუოდ საჭირო არის: ა) ტილოს 1-2 პარკი, ბ) სქელი საცერი, გ) თანაქის ან შუშის ძაბრი, დ) 1-2 გობი, ე) წვენის საწყაო, ვ) სასწორი შაქრის და მარილის ასაწონად, ზ) ფისი, ან თაფლის სანთელი, ან ლუქი.

**ჩვენი სიმდიდრე**

**მუხურის ბრძელსორთუმიანი რუსი ფუტკრის ქართული თაფლი და სხვა პროდუქტები**



ქართული მთის რუსი (მებრული პოპულაციის) ფუტკარი უნიკალურია და მთელს მსოფლიოშია განთქმული. ამ ჯიშის ფუტკრის გამოყვანა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ჩსორონაშუს რაიონის მუხურის თიბში სოპისწყლის ხაოზაში მდებარე შელეთის უბანში (შეადგომში აღნიშნული ფუტკარი იძნება დასახელებული როგორც მუხურის ფუტკარი).

**მუხურის ფუტკარი**

მუხურის ფუტკარმა 1961 წელს გერმანიის ქალაქ ერფურტში მეზალეობის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი დაიმსახურა.

1965 წლის აგვისტოში ქალაქ ბუქარესტში მეფუტკრეობის XX საერთაშორისო კონგრესზე მრავალი სამეურნეო და სასარგებლო თვისებების გამო მუხურის ფუტკარი მეორედ დაჯილდოვდა გამოფენის უმაღლესი ჯილდოთი, ოქროს დიდი მედალით.

1971 წლის აგვისტოში ქალაქ მოსკოვში მეფუტკრეობის საერთაშორისო კონგრესზე მუხურის ფუტკარმა

კვლავ მოიპოვა აღიარება და დაჯილდოვდა ოქროს დიდი მედალით.

მუხურის ფუტკრის მთავარი ღირსებაა მისი ხორთუმის სიგრძე, რომელიც შეადგენს 7,2 მილიმეტრს. მისი ანალოგი არ არსებობს. გარდა ამისა, მისი ერთ-ერთი ღირსება გახლავთ თვინიერება, მასთან მუშაობა გაცილებით ადვილია სხვა ნებისმიერ ფუტკართან შედარებით. ასევე მისი ღირსება უმაღლესი შრომისუნარიანობაა. ერთნაირი პირობების დროს მუხურის ფუტკარმა გაცილებით მეტი თაფლი მოაგროვა, ვიდრე დანარჩენმა სხვა ფუტკარმა.

**როგორ ფასდება თაფლი**

თაფლის თვისებების შეფასება ხდება სპეციალისტების მიერ ორგანოლექტიკური თვისებების მიხედვით და ქიმიური ანალიზით. ნატურალურ თაფლში გლუკოზის კრისტალეზის გარდა აუცილებელია ყვავილის მტვრის არსებობა.

ნარმოების პირობების დარღვევისას პროდუქტის ხარისხი შესაძლოა გაუარესდეს. მაგალითად, დაკრისტალეზული თაფლის მაღალ ტემპურატურაზე დადნობისას ხდება ფერმენტ დიასტაზას დაშლა.

თაფლის ხარისხს აუარესებს ნარგავების ქიმიური დამუშავება, თაფლში პესტიციდების ან სხვა ქიმიკატების მოხვედრა, გარემოს რადიაციული დაბინძურებისას რადიონუკლიდების მოხვედრა და სხვ.

**თაფლის სიმწიფე**

თაფლის სიმწიფის ნიშანი მისი ფიჭაში გადაბეჭდვაა.

ფიჭიდან ახლად გამონურული თაფლი თხევადია. დროთა განმავლობაში იგი კრისტალდება და იცვლის ფერს. თხევად თაფლში ყოველთვის არის თვალისთვის შეუმჩნეველი წვრილი კრისტალები, რომლებიც თანდათან იზრდებიან და ნელ-ნელა მოიცავენ მთელ მასას.

კრისტალების ზომაზეა დამოკიდებული თაფლის კონსისტენცია. თაფლის დაკრისტალდება, როგორც წესი, ქილის ქვედა ნაწილიდან იწყება ან მთელ მასას ერთდროულად მოიცავს, თუმცა, ხანდახან თაფლის ზედაპირზე ან შუაში ჩნდება თხევადი ფენა, რომელიც ფრუქტოზისაგან შედგება. დროთა განმავლობაში ეს ფენა ფიზიკის კანონების მიხედვით აუცილებლად გადაინაცვლებს ზედაპირზე.

თაფლში წყლის შემცველობა როგორც წესი შეადგენს 14%-ს და არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს. ამ შემთხვევაში თაფლი მომნიშვნეულად ითვლება. მომნიშვნეული თაფლი, ფიჭიდან გამოდევნის შემდეგ, გარკვეული დროის გავლისას, კრისტალდება და ასეთ მდგომარეობაში წლების განმავლობაში კარგად ინახება და არ კარგავს თვისებებს.

თაფლის დაკრისტალდება მის კარგ ხარისხზე და სიმწიფეზე მეტყველებს.

თაფლის დაკრისტალების დრო დამოკიდებულია ყვავილებზე, საიდა-

ნაც შეგროვდა ნექტარი. შედარებით მალე კრისტალდება თაფლი, რომელიც მეტია გლუკოზის შემცველობა, მაგ. მზესუმზირის, წინიბურას, რაფსის. თაფლი, რომელიც ქარბობს ფრუქტოზა (მაგ. ნაბლის თაფლი) გამორჩევით ნელა კრისტალდება და შესაძლოა დარჩეს თხევად მდგომარეობაში.

თაფლის მრავალი სახეობა არსებობს: მინდვრის, მდელოს, აკაციის, ნაბლის, მზესუმზირის, სამყურის, მღოგვის, იონჯის და ა.შ.

ფუტკრის თაფლი უნიკალური საკვებია, დიეტური და სამკურნალო თვისებების პროდუქტია. თაფლში არსებული არომატული ნივთიერებები, რომლებიც მცენარის სახეობიდან გამომდინარეობენ, თაფლს მიმზიდველს ხდიან, ხოლო მასში არსებული



ფერმენტები თაფლის დიეტურობას განსაზღვრავენ.

თაფლის ძირითადი ნაწილი ნახშირწყლებია-გლუკოზა და ფრუქტოზა. ასევე თაფლის შემადგენლობაში შედის ფერმენტები, ჰორმონები, ორგანული მჟავები, ანტიბიოტიკები ანუ ყოველივე ის, რაც საჭიროა ადამიანის სისხლის მიმოქცევის გასაძლიერებლად და ძვლების გასამაგრებლად.

თაფლში გვხვდება ორი ნარმოშობის ცილა: მცენარეული და ცხოველური. ფუტკრის მიერ თაფლში გამოყოფილი ანტიბიოტიკები ბაქტერიების ზრდას აჩერებენ.

თაფლში არის ბუნებრივი ანტიბიოტიკები, რომლებიც მნიშვნელოვანია მიკრობებთან ბრძოლისას. მას აქვს თვისება ადამიანის ორგანიზმში დაშალოს სხვადასხვა ეგრეთ წოდებული „ქვები“ და გამოდევნოს შლაკები ორგანიზმიდან (თაფლიანი წყლის მიღების საშუალებით).

თუ გვჭირდება თავის ტვინის სასწრაფო მომარაგება, თაფლი უნდა მივიღოთ პირდაპირ კოვზით და პირის ღრუში გავაჩეროთ. თუ გვინდა

კუჭ-ნაწლავს მივებმაროთ, მივიღოთ წყალში გახსნილი თაფლი. თაფლი ძალიან საჭიროა ჩვენი ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტისათვის. იგი ამ ორ მნიშვნელოვან ორგანოს მავენ ნივთიერებებისაგან წმენდს და აჯანსაღებს ორგანიზმს.

**ჭეო - ფუტკრის პური**

თაფლი, დინდგელი, ყვავილის მტვერი, ცვილი და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტები უძველესი დროიდან გამოიყენება მედიცინაში. ჭეოს სამკურნალო თვისებები კი სულ ცოტა ხნის წინ აღმოაჩინეს.

ჭეო ყვავილის მტვერია, რომელსაც ფუტკარი აგროვებს და ფიჭის უჯრედებში ინახავს. მცენარეული (მტვრის მარცვლები) და ცხოველური (თვით ფუტკრები) ფერმენტების, ბაქტერიებისა და საფუარის სოკოს ზემოქმედებით მტვერში იზრდება რძის მჟავის შემცველობა, რომელიც აკონსერვებს ამ საკვებ ცილოვან-ლიპიდურ ნარევს. სწორედ მას ჭამენ ფუტკრები, ეს მათი პურია. ფუტკარი უთაფლოდ ძლებს, ჭეოს გარეშე კი იღუპება.

ყვავილის მტვრისგან განსხვავებით (რომელიც დიდი ხანია იყიდება) ჭეოს ძალიან ადვილად ითვისებს ორგანიზმი. ასეთი ბიოლოგიური აქტიურობა არც ერთ ნატურალურ პროდუქტს არ გააჩნია. ჭეოში 20-ჯერ მეტი ვიტამინია, ვიდრე სტაფილოში. “ფუტკრის პური” შეიცავს პრაქტიკულად ყველა ვიტამინს, ცილებს, მინერალურ მარილებს, ანტიმიკრობული თვისებების მქონე ფერმენტებს, ფიტოჰორმონებს, ამინომჟავებს – სულ 240 ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას. ჭეო მეფუტკრეობის ერთ-ერთი არააღერგიული პროდუქტია.

დღეში 6-7ც (10გ) მომწარო გემოს ჭეოს ძალიან პატარა ყავისფერი მარცვლის მიღება ორგანიზმს ამდიდრებს ყველა სასარგებლო ნივთიერებით, აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას, ამაღლებს იმუნიტეტს. ვირუსული დაავადების დროს ჭეოს დოზა ორჯერ უნდა გაზარდოთ.

განსაკუთრებით ეფექტანია ჭეოს მიღება ანემიის დროს – 2-3 კვირაში ჰემოგლობინის დონე ნორმამდე ადის. ფუტკრის პურით ასევე მკურნალობენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, ნერვული და ენდოკრინული სისტემების დაავადებებს, მეხსიერების დაკარგვას, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევას, ჰიპერტონიას. პროსტა-

ტიტის პროფილაქტიკისთვის საკმარისია დღეში 5-10 გ ჭეოს მიღება.

ამ ნივთიერებით შეიძლება შევებროძოლოთ სიბერეს.

ჭეო გასრისეთ კვერცხის გულში ან თაფლში და კვირაში 1-2-ჯერ წაისვით სახეზე.

მეფუტკრეებს მიაჩნიათ, რომ ორგანიზმი ითვისებს ჭეოს მხოლოდ აუცილებელ რაოდენობას. გახსოვდეთ, მისმა რეგულარულად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ჰიპერვიტამინოზი, დააზიანოს ღვიძლი, თირკმლები, ელენთა. ასევე არარეკომენდებულია მისი მიღება ძილის წინ.


### დინდგელი (პროპოლისი)

დინდგელის ანტიმიკრობული თვისებები ფართოდ არის ცნობილი, თუმცა ბევრმა არ იცის, რომ ის იმუნიტეტის შემადგენელი ცალკეული რგოლების ფუნქციაზეც ახდენს გავლენას, ასტიმულირებს იმუნიტეტის როგორც სპეციფიკურ, ასევე არასპეციფიკურ ფაქტორებს და, აქედან გამომდინარე, უნიკალურ იმუნომასტიმულირებელ საშუალებას წარმოადგენს.

შეგახსენებთ, რომ სპეციფიკურ იმუნიტეტს განაპირობებს ორგანიზმის ლიმფოიდური სისტემა, ხოლო ორგანიზმის დამცავ არასპეციფიკურ ფაქტორებს ქმნის კანი, კუჭის წვენი, მუცელი, ბარბერის, სისხლის დამცველობითი ფუნქციის სხვადასხვა მექანიზმი. დინდგელი ყველა ამ ფაქტორზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და ამიტომ უნიკალური სა-



შუალებაა იმუნიტეტის ასამაღლებლად. დინდგელი წმენდს უჯრედებს, ხელს უწყობს მათი მემბრანების სტაბილიზაციას, აღადგენს დაზიანებულ ქსოვილებს (ანუ უზრუნველყოფს მათ რეგენერაციას), ასტიმულირებს ფაგოციტების (მშთანთქავი



უჯრედების) ფუნქციას, ზრდის გამაგლობულებების რაოდენობას. მისი გავლენით აქტიურდება ღვიძლის უჯრედების (ჰეპატოციტების) ფუნქცია, უმჯობესდება ალბუმინებისა და გლობულინების თანაფარდობა. დინდგელი ბუნებრივი ანტიბიოტიკია, თანაც უნიკალური, რადგან დღემდე არ არის ნაპოვნი ბაქტერია, რომელიც ამ ნივთიერებაში გამრავლება-განვითარებას შეძლებდა. დინდგელი ოქროსფერ სტაფილოკოკსაც კი ანადგურებს – ბაქტერიას, რომელიც გამძლეა უახლესი ანტიბიოტიკების მიმართ. პროპოლისი დამლუპველად მოქმედებს ვირუსებსა და სოკოებზეც. ეპიდემიის დროს თავის დასაცავად საკმარისია დინდგელის საშუალო ზომის ბურთულა კვირაში ორჯერ დალეჭოთ. თუ გრძნობთ, რომ ყელი გტკივთ და ავად ხდებით, ძილის წინ აუცილებლად დალეჭეთ პროპოლისი (ასანთის ღერის თავისოდენა 2-3 ბურთულა). მეორე დღით თავს გაცილებით უკეთესად იგრძნობთ და ყველა სიმპტომი გაგივლით. დინდგელი ააქტიურებს ორგანიზმის დამცველობით მექანიზმებს, ზრდის მრავალი დაავადებისადმი მისი წინააღმდეგობის უნარს, ბოჭავს ბაქტერიულ შხამებს (ტოქსინებს) და გამოდევნის მათ ორგანიზმიდან. ანტიბიოტიკოთერაპიის დროს დინდგელის გამოყენება საშუალებას იძლევა ორჯერ შემცირდეს მედიკამენტების დოზა სათანადო ეფექტის შენარჩუნებით. არსებობს დინდგელის გამოყენების შემდეგი ფორმები: სპირტიანი ნაყენი; წყლიანი ნაყენი; პროპოლისის წყალხსნარი; პროპოლისის მალამო; პროპოლისის სანთლები.

### გთავაზობთ თითოეული ფორმის მომზადების წესს:

#### სპირტიანი ნაყენი

კარგი იქნება, თუ ნაყენის მოსამზადებლად 90%-იანი სპირტის ნაცვლად 70%-იანს გამოიყენებთ, რადგან დინდგელის შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებების ნაწილი სპირტში იხსნება, ნაწილი კი – წყალში. დინდგელის ნაწილი 15 წუთით მოათავსეთ საყინულეში. ის გაიყინება და გამაგრდება. მიღებული გუნდა ჩახეხეთ წვრილ სახეხზე და ჩაუშვით სპირტით სავსე მინის ჭურჭელში, შეანჯღრიეთ და მოათავსეთ სიბნელეში. დღეში ერთხელ მაინც შეანჯღრიეთ (სასურველია დღეში ორჯერ, დილა-საღამოს). ერთი კვირის შემდეგ ნაყენი მზად იქნება. ყოველ 100 მლ სპირტზე უნდა აიღოთ 15-20 გრამი დინდგელი. კონცენტრაცია შეგიძლიათ მიზნის შესაბამისად ცვალოთ.

#### წყლიანი ნაყენი

საჭირო რაოდენობის დინდგელი 15 წუთით მოათავსეთ საყინულეში. როცა გაიყინება და გამაგრდება, ჩახეხეთ წვრილ სახეხზე. ჩაყარეთ ჭურჭელში, დაასხით წყალი, დაახურეთ თავსახური და 10 წუთით გააჩერეთ წყლის აბაზანაში (ანუ მეორე ჭურჭელში, რომელშიც წყალი დულს). ნარევი რამდენიმე ფენა დოლბანდში გადაწურეთ (გაფილტრეთ) და მუქი ფერის მინის ჭურჭელში გადაასხით. შეინახეთ მაცივარში არა უმეტეს ერთი თვისა.

#### დინდგელის წყალხსნარი

თერმოსში ჩაასხით 100 მლ ანადუღარი, 50 გრადუსამდე გაგრილებუ-



ლი წყალი, დაამატეთ 10 გ დაქუც-  
მაცებული პროპოლისის და 24 საათი  
გააჩერეთ. მიიღებთ მოყვითალო-მო-  
ყავისფრო გამჭვირვალე სურნელო-  
ვან სითხეს, რომლის შენახვაც რეკო-  
მენდებულია სიგრილეში არა უმეტეს  
7 დღისა.

**მალამო**  
გაცივებული და გახეხი-  
ლი პროპოლისის ჩაყა-  
რეთ მომინანქრებულ  
ჭურჭელში. შემოდგით  
წყლის აბაზანაზე. გა-  
აჩერეთ, სანამ დინ-  
დგელი ნებოვანი არ  
გახდება, დაამატეთ  
იმდენი კარაქი, რომ  
მიიღოთ სასურველი  
კონსისტენცია (თქვე-  
ნი მოთხოვნილები-  
სამებრ, ჩვეულებრივ  
კი 100 გრამ კარაქზე  
15-20 გრამ დინდგელს  
იღებენ და 5 მლ წყალს  
ამატებენ). გააჩერეთ 5  
წუთი, განუწყვეტილ  
ურევით ხის კოვზით.  
ჯერ კიდევ ცხელი გა-  
დაწურეთ ორჯა დოლ-  
ბანდში, ჩაასხით მინის  
ჭურჭელში და მაცი-  
ვარში შედგით. კარაქის ნაცვლად  
მალამოს მოსამზადებლად შეიძლება  
ვაზელინის გამოყენებაც. შეგიძლიათ  
პროპოლისის მასა პროდუქტის სა-  
სურველი კონცენტრაციის მიხედვით  
ცვალოთ - აილოთ 5, 10, 15, 20, 30 ან  
40 გრამი პროპოლისის და, შესაბამი-

სად, დაამატოთ 95, 90, 85, 80, 70, 60  
გრამი ვაზელინი.

**სანთლები**

აილეთ კაკაოს ცხიმი ან კარაქი და  
პროპოლისის 10%-იანი სპირტიანი  
ნაყენი. ცხიმი და ნაყენი ერთმანეთში  
აურევთ თანაფარდობით 4:1. მიღე-  
ბული მასა გააძნეთ წყლის აბაზანაში  
არა უმეტეს 40 გრადუს ტემპერატურა-  
ზე. გააცივეთ და შეანებეთ 3 სანტი-  
მეტრი სიგრძისა და ერთი სანტიმეტ-  
რი დიამეტრის ცილინდრების სახით.  
მიღებული სანთლები სათითაოდ გა-  
ახვიეთ პოლიეთილენში და მაცივარში  
შეინახეთ. დინდგელის წყალხსნარი და  
წყლიანი ნაყენი უნდა მიიღოთ დღეში  
3-5-ჯერ, 1, 2 ან 3 სადილის კოვზი ჭა-  
მამდე 30-40 წუთით ადრე. მკურნალო-  
ბის კურსი, ადამიანის ჯანმრთელობის  
მდგომარეობისა და არსებული დაავა-  
დების ფორმის შესაბამისად, ერთიდან  
სამ თვემდეა. პროპოლისის წყალხს-  
ნარის მიღება მუდმივად შეგიძლიათ,  
რადგან ასეთი დოზით ის ტოქსიკურ  
ეფექტს არ ავლენს. რაც შეეხება სპირ-  
ტიან ნაყენს, ის უნდა მიიღოთ თითო  
სადილის კოვზი დღეში სამჯერ, ჭამი-  
დან ერთი საათის შემდეგ.

[mkurnali.ambebi.ge](http://mkurnali.ambebi.ge)

**საახალწლო ტრადიციები საქართველოში**

**შემოვდგი ფხვი, გწყალოვდეთ ღმერთი!**

„შემოვდგი ფხვი, გწყალოვდეთ ღმერთი! ფხვი ჩაი – კვა-  
ლი ანგალოფისა! წალი სიკეთე-სათნოებისა, მშვიდობისა,  
ბარაძისა, სიყვარულისა, გამრავლებისა! ღმერთმა დაგლო-  
ცოთ კაც-დიაცით, თქვენი შვილებით, აკვნების სიმრავლით,  
პურ-ღვინის დაძველებით, ზვარ-ყანების სიდიდით, ცხვარ-  
ქროხის სიმრავლით, კარგი სტუმრითა და ყველა მოკითხით!  
მრავალ ახალ წელს! საქართველოს სხვადასხვა კუთხეში,  
მიუხედავად საახალწლო ტრადიციების მრავალფეროვნე-  
ბისა, თითქმის ყველგან ასე ულოცავს მიკვლე ახალ წელს  
ოჯახს. მიკვლე – ზოგან მას მიფხვის, მიფხურსაც უწო-  
დებან – ის ადამიანია, რომელიც ახალი წლის დადგომის  
შემდეგ პირველი შეაღებს ოჯახის კარს. მიკვლეობის ტრა-  
დიცია საქართველოში ოდითგანვე არსებობდა და მას ერ-  
თხანს საპრაღურ მნიშვნელობასაც კი ანიჭებდნენ, რადგან  
მიაჩნდათ, რომ სწორედ პირველი სტუმრის ფხვი იყო და-  
მოკიდებული მომავალი წლის ავ-კარგინება.



### ძართლ-კახეთი

აღმოსავლეთ საქართველოში ახალი წლის წინა დღეს ოჯახში აუცილებლად მოიტანდნენ წყაროს უმძრახ წყალს და ეზოში მოასხამდნენ. მეკვლე ოჯახის უფროსი ან მონვეული სტუმარი იყო, რომელიც ახალი წლის დადგომის შემდეგ ოჯახში ხელდამშვენებული შედიოდა: მიჰქონდა დედას პურები, ყველი, ხორცი, ღვინო, გოზინაყი, ხილი, ჩურჩხელა და მარცვლეული. ზოგჯერ ცოცხალი ქათამიც მიჰყავდა. გადააბიჯებდა თუ არა მეკვლე ზღურბლს, მიმოაბნევდა ხორბლის, სიმინდის ან ქერის მარცვალს, რათა ახალი წელი ხვავიანი და ბარაქიანი ყოფილიყო.

### იმერეთი

მეკვლის მოსვლამდე ოჯახის უფროსს ევალებოდა ხორაგით სავსე ხონჩით სამჯერ ნალმა შემოეველო სახლისთვის და უფლისთვის გამრავლება, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა ეთხოვა. ხონჩაზე ღორის თავი, მწვადი, მოხარშული დედალი, ხაჭაპური, ლობიანი, ღერღილის პური და ტკბილი კვარები ელაგა. სახლისთვის სამჯერ შემოვლის შემდეგ ოჯახის უფროსი კერიაში შედიოდა ოჯახის ყველაზე ხნიერ ნევრთან ერთად, რომელიც მოგიზგიზე კუნძს რამდენჯერმე დაჰკრავდა ჯოხს და აშლილ ნაპერწკლებს ასეთ ლოცვას დაადევნებდა: ამდენი ოქრო ჩვენს ოჯახში, ამდენი პური და ღვინო, ამდენი მარილი, ამდენი ძროხა, ამდენი ქათამი; დაე, ეს წელი ამ ნაპერწკლებივით უხვი იყოსო.

### გურია

კალანდობა – ასე უწოდებდნენ გურიაში შობა-ახალ წელს. კალანდობა დეკემბრის ბოლოს იწყებოდა, იკვლებოდა ღორი, ცხვებოდა გურული კვარები ყველითა და კვერცხით, ნაზუქები, მზადდებოდა კუპატი და საცივი. კალანდობის მთავარი ატრიბუტი კი ჩიჩილაკი იყო, რომელიც აუცილებლად უნდა მორთულიყო. ახალი წლის მილოცვა აქაც ოჯახის უფროსის პრეროგატივა გახლდათ. ახალი წლის დადგომისთანავე იგი ჯერ მარანსა და საბძელს მოინახულებდა, შემდეგ შევიდოდა სახლში წითელი ღვინით და დალოცავდა ქვეყანასა და ოჯახს. ახალი წლის ღამეს გურიაში მეალილოები დადიოდნენ და მღეროდნენ, აგროვებდნენ ტკბილეულს, ფულსა და ხილს.

### სამეგრელო

სამეგრელოში თხილისგან გამოთლილ ჩიჩილაკს ბამბითა და სათამაშოებით რთავდნენ, მის სიახლოვეს კი აუცილებლად ეწყო ხილი და ტკბილეული, მოხარშული გოგრა, ხაჭაპური, ფელამუში და ღვინო. სამეგრელოში მეკვლეს – მეკუჩხურს – დიდი სიფრთხილით წინასწარ ირჩევდნენ და ოჯახიც საგულდაგულოდ ემზადებოდა მის დასახვედრად.

### რაჭა

„გფარავდეთ მრავალძალის წმინდა გიორგი! შეგენიოთ ყოვლადწმინდა ხოტევი და ნიკორწმინდა! აგარა და უღეში, ღმერთმა მოგცეთ ნუგეში“, – ამ სიტყვებით ლოცავდა რაჭაში მეფეხე ოჯახს. თუ წინა წელს მის ფეხს ოჯახი კარგად დასცდიდა, მას კიდევ სამი წლით ირჩევდნენ. ამ სამი წლის განმავლობაში მეკვლე ოჯახს პირველი მიულოცავდა ახალი წლის დადგომას ღვინის დოქით, მოხარშული ღორით, შემწვარი წინილით, ვაშლში ჩარჭობილი ხურდა



ფულით, ჩიჩილაკითა და სანთლით ხელში; დალოცავდა ოჯახს, საბძელს, ნალიას, მერე კი იწყებოდა ღვინო. რაჭულ საახალწლო სუფრას ამშვენებდა ლობიანები, ღვინო, ღორი, თაფლი, კაკალი, ტყლაპი, ჩირი და ვაშლი.

### ლეჩხუმი

აქ ახალი წლის შემობრძანებას ოჯახის უფროსი გობით ხელში ელოდა. ლეჩხუმში ბაბუა მიიჩნეოდა მეკვლედ. დადგებოდა თუ არა ახალი წელი, იგი ღვინით სავსე დოქით ხელში უმცროს ვაჟთან ერთად გავიდოდა ვენახში, სადაც ჯერ თავად ლოცავდა ზვრებს, შემდეგ პატარას დაალოცვინებდა; მოაპკურებდნენ იქაურობას ღვინოს, მერე მივიდოდნენ ბელელთან, ნალიასთან, ჭურებთან, ამის შემდეგ შედიოდნენ სადგომში (სახლში) და ლოცავდნენ გვარს.

### სვანეთი

სვანეთში განსაკუთრებით ერიდებოდნენ ახალი წლის წინა დღეებში სტუმრად სიარულს, კლავდნენ საახალწლოდ გასუქებულ ღორს, რომელსაც მესიარაი ერქვა, აცხობდნენ პურებს ჯვრების გამოსახულებით და ტკბილ კვარებს. როგორც ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, მეფეხეს ღამე გარეთ უნდა გაეთია, რათა ოჯახში განწმენდილი შესულიყო და კარგი ფეხი შეეტანა. ოჯახის უფროსს აქაც თავისი საქმე ჰქონდა: ალიონზე უნდა ამდგარიყო, საქონლისთვის მიეხედა, მერე კი სანთლებით ხელში შესულიყო შინ და ოჯახი დაელოცა.

### ხავი და მთიულეთი

ახალი წელი ხევისბერების სარიტუალო მსვლელობით იწყებოდა – ისინი დროშას ააბრძანებდნენ წმინდა გიორგის ხატში. როგორც კი ზარები ახალი წლის დადგომას აუწყებდნენ, ტაძრიდან გამოსული ხევისბერები ჯერ ერთმანეთს, მერე კი თემს მიულოცავდნენ ახალ წელს, მშვიდობასა და ბარაქას უსურვებდნენ. ამის შემდეგ წმინდა გიორგისა და მთავარდემონწამის სახელის სადიდებლად



იკვლებოდა საკლავი და ინყებოდა ზეიმი და განთქმული შაირობა.

**თუხათი**

ახალი წლის დადგომამდე თუშ ქალებს აუცილებლად უნდა დაებრუნებინათ, თუკი რამ ჰქონდათ განათხოვრებული; იმარაგებდნენ ტკბილეულს და აცხობდნენ სამეკვლეო კვერს, რომელსაც „ხარის გოგას“ ეძახდნენ. აქ მეკვლედ ისეთ კაცს იწვევდნენ, რომელსაც კეთილი გული, კარგი ფეხი და დიდი გამოცდილება ჰქონდა. ზუსტად თორმეტ საათზე მეკვლე ოჯახში შემობრძანდებოდა, ოჯახის უფროსი კი მას სამეკვლეო კვერს მიართმევდა. მეკვლე მას კერიასთან დააგორებდა ისე, რომ კვერი წაღმა დამდგარიყო, რათა ახალ წელს ოჯახის ბედი სულ წაღმა დატრიალებულიყო. ხდებოდა ისეც, რომ მეკვლეობას თუშები მეცხვარის ძალს ანდობდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მასაც „კარგი კვალი“ ჰქონდა. ახალი წლისთვის ოჯახის ყოველი წევრის სახელზე ცხვებოდა სათავნო და ბედის კვერები სხვადასხვა გამოსახულებით. დილით ადრე ოჯახის უფროსის ჯერი დგებოდა. იგი უნდა გასულიყო გარეთ, შემოეტანა თოვლი და სახლში მიმოებნია. ოჯახის უფროსის დალოცვის შემდგომ საახალწლო მხიარულება იწყებოდა.

**ფხავი და ხევისურთი**

აქ საუკუნეების მანძილზე არსებობდა ერთი საინტერესო ტრადიცია: ახალი წლის ღამეს ხევისბერები და დასტურები სალოცავში წაიღებდნენ ქადებს, ერბოიან პურებს და სანთლებს, თან წაიყვანდნენ სოფლის ყმანვილებს და წინ წაიმძღვარებდნენ საკლავს. ქვით გადახურულ ხატში ისინი ლოცვაში ათენებდნენ. ახალი წლის დამდეგს ხევისბერი დალოცავდა მლოცველთ, კუთხეს, გვარსა და ოჯახებს, გარიჟრაჟზე კი გამოვიდოდა ჯვარიდან და იკვლებოდა ცხვარი, რომლის სისხლში ამოვლებულ თოვლის გუნდებსაც ეშმაკისა და ბოროტის განსაღვენად ხატიონის კედელს ესროდნენ. შემდგომ ყმანვილები ქუდებს იხდიდნენ და ერთად აწყობდნენ ნაბდის ქვეშ. ერთ-ერთი მათგანი ბრმად იღებდა ქუდს და სწორედ მის პატრონს ერგებოდა წილად მთელი სოფლის მეკვლეობის პატივი. დალოცვის შემდეგ სოფელში იწყებოდა დღესასწაული, იხარშებოდა ლუდი, იხარშებოდა ხინკალი და ისმებოდა

უპიტიტაური. საახალწლო სუფრის აუცილებელი ატრიბუტები იყო პური, ერბო, ხორცი, დამწნილებული სატაცური და ტკბილი ქადები.

**აფხაზეთი**

აქ ახალ წელს ხიჩხუამას ეძახდნენ. მთელი ოჯახი საგვარეულო სახლში იკრიბებოდა, საგანგებოდ იხსენებოდა ქვევრი, ცხვებოდა თაფლიანი და ნიგეზიანი ქადები, აფხაზურა პურები. ოჯახის უფროსი საკლავის დაკვლის შემდეგ დაკლული საქონლის ღვიძლით, ფილტვითა და თირკმლით ხელში მიდიოდა სალოცავში, ასხურებდა ღვინოს, მერე კი ოჯახში დაბრუნებული ახალ წელს ულოცავდა ახლობლებს.

**სამარაგლო**

აქ მეკვლე აუცილებლად პატარა ბავშვი უნდა ყოფილიყო, რათა სუფთა გულითა და ხელებით სიკეთე შეეტანა ოჯახში. მეკვლეს ხელში ლანგარი ეჭირა, რომელზეც ტკბილეული და კარტოფილის ხინკლები ეწყო. აქაურ საახალწლო სუფრას ამშვენებდა ხაჭაპურები, ხაბიზგინები, გოზინაყი, მოხარშული დედალი.

**საინგილო**

საინგილოში ახალი წლის სუფრა არ გაიშლებოდა ჰალვის, თაფლის, ნაზუქების, გოზინაყისა და ბრინჯის ფლავის გარეშე. აქ მეკვლე აუცილებლად ძალი უნდა ყოფილიყო, რადგან იგი იყო ფეხბენიერი, ოჯახის ერთგული და გულშემამტკივარი. მეორე დღეს ოჯახში მოდიოდა ნამდვილი მეკვლე, რომელსაც ფეხებთან დაუყრიდნენ ბრინჯს ან ხორბალს, დასვამდნენ სკამზე, რათა ოჯახში ქალიშვილები გაუთხოვარნი არ დარჩენილიყვნენ, შემდეგ მეკვლე ყველას დალოცავდა და ლხინიც იწყებოდა.

**სამცხე-ჯავახეთი**

აქ უმძრახ წყალს დიასახლისი ეზოში, სასიმინდესა და ნალიაში ასხურებდა; საახალწლო სუფრაზე, გარდა ტკბილეულისა, ეწყო კარაქი, ხავინიანი კვერები, კარტოფილის ხინკალი და ღვინო. ოჯახის თითოეული წევრის სახელზე ცხვებოდა საბედო, ბანის, სამეკვლეო და ხარის ქედის კვერები, რომლებსაც ოჯახის უფროსი ყრიდა ერდოდან და თან ლოცვასაც აყოლებდა. თუ კვერი კერიაზე დაეცემოდა, იმ წელს ოჯახი სიხარულში, მატებასა და ბარაქაში გაატარებდა, თუ კართან – წელი მოუსავლიანი ან უსიამოვნო იქნებოდა და ამას წინასწარ ეგუებოდნენ. შემდგომ კი იწყებოდა მეზობლებისთვის ახალი წლის მილოცვა გადაძახილითა და „მუმლი-მუხასაოს“ მღერით.

**აჭარა**

ახალი წლის ღამეს მთელი ოჯახი სუფრასთან იკრიბებოდა. ოჯახის უფროსის ნებართვით, ყველას უმცროსი ვაჟი ულოცავდა ახალ წელს. დიასახლისი ირგვლივ უმძრახ წყალს მოაპკურებდა, შემდეგ კი გახსნიდა წინასწარ მომზადებულ ყაურმას. სუფრაზე ეწყო აჭარული ხაჭაპურები, ჰალვა, ხარჩო, ბურმე – თაფლიანი და ნიგეზიანი ნამცხვარი, სანთლის არაყი. ქალებს აუცილებლად უნდა სცმოდათ წითელი კაბა და გულზე ჰკიდებოდათ ბებიის ნაჩუქარი ჯვარი. დაილოცებოდნენ აჭარლები და ისროდნენ თოფს ნიშნად იმისა, რომ ოჯახი ხარობდა და სიცოცხლე გრძელდებოდა.


# MASCHIO

# GASPARDO

**WORLD**  **TECHNIC**  
სსიპ **გაქნიკა**

**ბოთანიზაცია!**

**PINOCCHIO - ATILA**  
**ARTIGLIO - DIABLO**  
**TERREMOTO**  
**GRUBBER**  
**PRESTO - UFO**  
**GRATOR - GRANCHIO**





შურნალ „ახალ აგრარულ საქართველოზე“ ხელმძღვანელობს ბრძანება!

გამოიწერეთ  
შურნალი

# ეგრარული საქართველო!

ბაიბათ მეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების, ცხოველთა მოვლისა თუ აგრარული სფეროს სხვა საინტერესო საკითხებზე

მთელი წლით შურნალის გამოცემა ღირს 24 ლარი, 6 თვით – 12 ლარი. შურნალის გამოცემა შეგიძლიათ პრესის გავრცელების სააგენტოების ელვა.ჯის ([www.elva.ge](http://www.elva.ge)) მეშვეობით. ტელ.: (032) 2 38 26 73/ (032) 2 38 26 74; (032) 2 38 26 76. ასევე „საქპრესა“-ის რაიონულ ოფისებში. ტელ.: (032) 2 51 85 18. ან შურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ რედაქციაში. ტელ.: 599 16 18 31 [agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

